ცოტიშა ჯინჭარაძეული

ჩემი ლექსები

პოემა (თეთრი მგელი)

გრიშა ჯინჭარაშვილი • ჩემი ლექსები



ცრიცა
ჭიანჭარაძეული

ჩემი ლექსები

დამატებები და პოემა (თეთრი მგელი)

თბილისი
2021

გამომცემლობა
„სვეტი +“

© თბილისი 2022.

ავტობიოგრაფია

მე, გრიშა პავლეს ძე ჯინჭარაშვილი, დავიბადე ქვემო ქართლში, ბაშქიჩეთის რაიონის სოფელ მიჯაში (ახლანდელ დმანისის რაიონის სოფელ ჯავახში), 1939 წლის 8 თებერვალს. მშობლები: მამა - პავლე ფილიპეს ძე ჯინჭარაშვილი, დედა - შაშო შიოს ასული ექიზაშვილი, დიდი გომარეთიდან. მამა კარგად არ მახსოვს, 1941 წელს გაიწვიეს დიდ სამამულო ომში. ამ ომში იგი დაიღუპა. მყავდა ერთი და სოფიო პავლეს ასული ჯინჭარაშვილი, დაბადებული 1927 წელს. მამაჩემის ომში გაწვევის 5 თვის შემდეგ 1942 წელს, დაიბადა ჩემი ძმა - შალვა პავლეს ძე ჯინჭარაშვილი. დედაჩემო მუშაობდა კოლმეურნეობაში. ბავშვებს გვზრდიდა. 1947 წელს დავიწყე სწავლა მიჯის რვაწლიან სკოლაში, 1955 წლის რვაწლიანი სკოლის შემდეგ შევედი თბილისის მე-6-ე სახელოსნო სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების (1957 წლის) შემდეგ, გავაგრძელე სწავლა განთიადის საშუალო სკოლაში. დავამთავრე 1959 წლის 14 ნოემბერს. გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მოვხვდი სატანკო პოლკში. დავამთავრე პოლკის სასწავლებელი და მივიღე სერჟანტის წოდება. ვიყავი ტ-55 ტანკის მეთაური და „ზვოდის“ მოადგილე. 1962 წელს საჯარისო ვალი მოვიხადე. დავბრუნდი სოფელში. მუშაობა დავიწყა კოლმეურნეობაში, 1963 წელს დავქორწინდი. 1965-66 წლებში დავამთავრე საგურამოს კვალიფიკაციის ამაღლების საბუღალტრო სასწავლებელი. დავიწყე მუშაობა კოლმეურნეობის ბუღალტერიაში. მას შემდეგ ბევრ ადგილზე მაქვს ნამუშევარი. მრავალი სტაჟი შრომაში. მყავს მეუღლე და ხუთი შვილი.

ოჯახი

1. მეუღლე - გულო ორთოიძე. დაბადებული 1944 წელს.
2. შვილი - ჯუმბერ ჯინჭარაშვილი. დაბადებული 1965 წელს.
3. შვილი - მზია ჯინჭარაშვილი. დაბადებული 1966 წელს.
4. შვილი - ტარიელ ჯინჭარაშვილი. დაბადებული 1967 წელს.
5. შვილი - ლია ჯინჭარაშვილი. დაბადებული 1969 წელს.
6. შვილი - ნელი ჯინჭარაშვილი. დაბადებული 1975 წელს.

ღმერთო მაღალო

ღმერთო მაღალო, უზენაესო ქვეყნიერების,
შექმქმნელო ქვეყნად, სიცოცხლის და ნეტარების
აცოცხლე ქვეყნად კეთილი ხალხი,
ვინც ღირსი იყოს შენი თვალების,
ვისაც სიწმინდე სულშიც ჰქონია,
მათ მისცემოდეთ შუქი თვალების,
იცოცხლე ქვეყნად კეთილო ხალხნო,
თქვენ შეგეწიოთ მადლი სამების!

* * *

ამქვეყანაზე არსებობს თქმული
ღმერთისაგან ვართ დაბადებული
მას მოუცია ჩვენთვისა გული
და ჩაუდვია სიცოცხლის სული
სიცოცხლე არის არარაობა
მიდის და მოდის ხალხთა თაობა
ქვეყნად არსებობს კაცთამგმობელი
ჩვენი სიცოცხლე შეუცნობელი
ღმერთო უფალო რას გეხვეწები
რადგან დაბადე ადამიანი
ნუ დააცილებ საყვარელ ხალხსა
ქვეყნად სიცოცხლით გაუმაძღარსა
დიდება შენდა ღმერთო უფალო
მშვიდობა მოგვეც და დაგვიფარო
წარსული, აწმყო და მომავალი
ეს იქნება ჩვენთვის მთავარი
დიდება უფალს, დიდება უფალს, უფალს დიდება

ტკბილი არის ეს ცხოვრება

ტკბილი არის ეს ცხოვრება,
ტკბილადაცა მინავარდობს,
ერს სიძლიერე სჭირდება,
ზოგიერთი არც კი დარდობს.
საქართველოს შვილები ვართ,
გავიხსენოთ წინაპრები,
თუ შვილები მრავალი გყავს
არასოდეს არ მოკვდები.
მე იმ კაცსა ვენაცვალე,
ვისაც უყვარს თავის ერი,
ვინც კი არის სამშობლოსთვის –
ერისათვის გულის მწველი.
გავიხსენოთ ის გმირები,
ლახვარ იყვნენ მტრებისათვის,
გმირულადაც იბრძოდნენ და,
თავსაც სდებდნენ ერისათვის.
დღეს თუ ყველგან მშვიდობაა,
მომავლისთვის გვინდა ზრუნვა,
ჩვენი მიწის ბარაქასა,
შვილებისთვის ჰქონდეს ბრუნვა.
ზოგი ერთსა ცხოვრება აქვს,
ქონება აქვს დაგროვილი,
სახლში არავინ არა ყავს,
ან თუ ყავს და ერთი შვილი.
გირჩევნიათ დიდ სიმდიდრეს,
იყოლიოთ შვილნი, ძენი,
რომ მისიძე ძლიერება
მარად იყოს მძლეთა მძლევი.

ქართველი კაცი

ქართველი კაცი დაფიქრდეს,
ვის შვენის თავის ქებაო,
ცოცხლად ითვლება ყოველთვის,
ვინც ერისათვის კვდებაო.
არ დაუკარგოთ სახელი,
უნდა ვიცოდეთ ჩვენიო,
მოვიხსენიოთ ყოველთვის
ახალია თუ ძველიო.
არ იყოს მაშინ ცოცხალი,
ვინც რომ ლაჩარი ხდებაო,
სამშობლოსათვის არ ვარგა,
უსახელოდაც კვდებაო.
სილამაზე აქვს ქვეყანას,
წლები-წლებს მიედინება,
ვინც სახელს არ დაუკარგავს,
იმრავლოს ისეთ შვილებმა.
დალოცვილი ყოფილიყოს,
ეს ქართველი კოხტა ერი,
იცოცხლოს და იდღეგრძელოს,
გული ჰქონდეს მუდამ მთელი.

ჯავახეთის მწვერვალებს

ჯავახეთის მწვერვალებო,
შენ მოგვეცი ძალთა ძენი,
შემოვავლოთ ირგვლივ მთებსა
ღობე-ყურე, ძველთა-ძველი.
იმ ჩახერგილ მინდორ ველსა,

საქართველოს მიწას ძველსა,
წართმეულს და მიტაცებულს
უყურებდეთ ისევ მთელსა.
მამა-პაპურ მინდორ ველსა,
რომ გახედავ ირგვლივ მთებსა,
ისე დგანან ბუნბერაზნი,
ელოდება მართლა მხსნელსა.
ჩვენი საქმით, ვაჟკაცობით,
მოვითხოვდეთ მიწას ძველსა,
გავმრავლდეთ და გავიხაროთ,
ვპატრონობდეთ ყველაფერსა,
მწვერვალებო, რომ გასცქერი,
გულნაკლული ყოველ მხარეს,
შვილებიცა ვფიქრობთ რამდენს,
კახ-ბელაქანს ტაო-კლარჯეთს.

ქართველო კაცო

ქართველო კაცო შენ გმართებს,
სიფხიზლე ყველაფრისაო,
თორემ იცოდე ყოველთვის,
ლუკმა გახდები სხვისაო.
რისთვის ხარ დაბადებული?
თუ არ აკეთებ კარგსაო,
არ გედარდება სამშობლო,
და არც იწუხებ თავსაო.
დაიარები ამ ქვეყნად,
თავი გგონია ლხინშია,
მიხედე შენსა სამშობლოს,
იცოდე გასაჭირშია.
მამა-პაპამა გადმოგცეს,
დედა-სამშობლო ვრცელია
და თუ დაკარგე იცოდე,
მომავლისათვის ძნელია.
შეხედულობით კაცნი ვართ,
ვაჟკაცობაში გვჯერა ვინ...
გამრუდებულსა მუხასა,
ვერ გაასწორებს ვერავინ.

მეც თქვენთანა ვარ

ჩემო კარგებო და საყვარლებო!
მივესალმები თქვენს გულის თქმასა,
უნდა ვარჩევდეთ თეთრსა და შავსა,
ჩვენ არ გავატანთ არავის ვალსა.
სიყვარულისთვის, ძმობის გულისთვის,

შემოვევლები მთასა და ბარსა,
გვიყვარდეს შრომა და ვაჟკაცობა,
მომავლისათვის ვახელდეთ თვალსა.
აბა გავხედოთ ქვეყანას ჩვენსას,
როგორ აკლია მზრუნველი ხელი,
ცოცხლები ვიყოთ და არ მივხედოთ,
სადღაა მაშინ სახელი ჩვენი.
სიმრავლე არ გვაქვს, ფუძე ძლიერი
შევხედოთ ერსა თუ რა დღეშია,
მკვდარ წერტილზე ვართ გაჩერებულნი,
ხალხიც არა გვყავს მაღლა მთებშია
კარგა დავფიქრდეთ წინ გავიხედოთ,
რამდენი რამე ჩვენ დავაშავეთ,
ჩვენი წინაპრის ნათელი ხსოვნა,
ნაწილობრივად ჩვენ გავაშავეთ.
ჩვენ თუ შევთხელდით არ ეყოლება,
დედა სამშობლოს შვილები ჩვენი,
ღმერთმა არა ქნას რომ დაიკარგოს
ქართველი ერის სახსენებელი.

მოვკვდები თქვენს სიყვარულში

ერთი მეორე გვიყვარდეს,
ნუ მივენდობით სხვასაო,
ერისა სიყვარულისთვის
უნდა გავცუროთ ზღვაცაო.
ის ყველაფერი რომ ითქვა,
ჩვენსა მთასა და ბარსაო,
ჩვენს მიერ პატივისცემა
ვერ დავანახეთ ბრმასაო.

ვაჟკაცნო გულით მართალნო,
არ ამოვიღებთ ხმასაო,
იცოდნენ ჩვენ მეგობრებმა
არვის გაუქნევთ ხმალსაო.
ყველასა პატივი ეცით,
არ დაუმდაბლებთ თავსაო,
საქმე საქმეზე თუ მიდგა
არც დაუტოვებთ მკვდარსაო.

კურთხეულ მიწას

კურთხეულ მიწას ღმერთისგან
არვინ დაგითმობთ თქვენაო,
რამდენიც მეტი იყბედოთ
გველივით გქონდეთ ენაო.
მაშინ რად გვიღირს სიცოცხლე,
რომ გვედავებით ჩვენაო,
თუ ნაწილობრივ გავწყდებით
არვინ დარჩებით თქვენაო.
დაფიქრება რომა გმართებთ
გიყურებენ მაღლა მთანი,
ეს იცოდეთ ქართველები
არ არიან თქვენთვის სხვანი.
ფხიზელი ხარ, უნდა იცნო,
ვინაა მტერი, ვინ მოყვარე,
ისტორიას ვინ არ ახსოვს
ყველა ხალხი ჩამოთვალე.
ძმებივითა გინახავდით,
რამ შეგიცვალათ ფერია,
სიმუხთლეში და მტრობაში
არ გაგითენდეთ დღენია.

რომ დავფიქრდეთ

რომ დავფიქრდეთ საფიქრალი,
მართლა ბევრი გვაქვს.
გადავხედოთ საქართველოს
ველ-მინდორს და მთას.
ჩვენი დედა და სამშობლო
მიუთვისავს სხვას,
გამოვიცნოთ ამის შემდეგ
ვის დავადებთ ბრალს.
ჩვენ სიკეთეს ვერ ხედავენ,
თვალები აქვთ ბრმა,
კისრის მოტეხვა სჭირდებათ –
ამოვიღოთ ხმა.
მტერს სიკვდილი, მოყვარესა –
პირში უნდა თქმა,
დიდკულტურამ, თავმდაბლობამ
ჩვენ თუ გვარგო რა...

თხუნელა

გაძვრები და გამოძვრები,
ბარია თუ დიდი მთები,
სამყაროა შენთვის ბნელი
არსად ისმის შენი ხმები.
სამშობლოსთვის თავსასდებენ,
არც კი გესმის დიდი ძვრები,
ღორმუცელა როცა თვრები
მაშინ ისმის შენი ხმები.
ცხოვრებისა არა გესმის,

ბარში ხარ, თუ დიდსა მთებში,
პირუტყვი ხარ ყოველთვისა,
არც მკვდრებში ხარ, არც ცოცხლებში.
სხვის სახლებში დაწანწალებ,
საჭმელს ეძებ ღორმუცელა,
უნამუსო რომ გამხდარხარ
და ამიტომ გიფრთხის ყველა.

რად მათქმევინებ

საჭმელ-სასმელი შენ არ გაკლია,
მამა-პაპისა თბილ სახლში ჯდომა,
სამშობლო გიხმობს ერთგულებისთვის
შენ კი წევხარ და არ გინდა დოგმა.

ითვლები კაცი მოჩვენებითი,
არაფრად აგდებ სამშობლოს ხმობას,
სისხლი არა გაქვს კაცურკაცობის
ეხლა კი ვიწყებ შენზედა თხრობას.

შენ რა კაცი ხარ, და რად ითვლები
შენი სიცოცხლე რა სიცოცხლეა,
მიწის ზევიდან დაიარები
სამარეშიაც დამპალი ხეა.

დედა სამშობლო ყოველთვის
მამა-პაპისგან არ დათმობილა.
გიჯობს ცოცხლადვე დაიწვე,
შენი ადგილი აქ არ ყოფილა.

მამულს გვართმევდეს!

მამულს გვართმევდეს გადამთიელი –
ქართველი ერი მაშინ სადარი?
არ გაწყვეტილა ჯერ ქართველობა,
ჩვენ უნდა დავცეთ მტერსა თავზარი.
გადამთიელნო „თავს გაუფრთხილდით“!
მიგიტაცნიათ ეს ჩვენი მთები,
ამოგშხამდებათ თავსა დაკარგავთ,
და აქ დაგრჩებათ ეგ თქვენი ძვლები.
ჩემო ქართველნო თქვენ გენაცვალეთ,
ანანეთ მტერსა გადამთიელსა!
რაც ჩაიდინეს უნდა მიეზღოთ,
გადაუხადოთ ბრძოლისა ველსა.

საქართველომ შეგიფარათ

საქართველომ შეგიფარათ,
უმადურებო გაგიწყრეთ ღმერთი.
მიწა წყალია საქართველოსი
სამაჩაბლო და აფხაზები.
აფხაზეთს ომი დაგვიწყეს,
როგორც ნადირნი მშიერნი,
ქართველსა ხალხსა ხოცავენ
აფხაზები და მთიელნი.
გვერდში გიდგანან რუსები,
გვედავებით მიწა-წყალსა,
დრო მონახეთ გათამამდით
ღმერთი არ მოგცემთ კარგსა.
დაუფიქრდით, გონზე მოდით,

ნუ დასთესავთ საქმეს ავსა,
მაშინ არავინ გიშველით
უკან დაგიბრუნებთ ვალსა.
ქართველებმა ესეც ვიცით,
გადაუხდით მაშინ ვალსა,
თხებივით რომ გასუქდებით,
მაშინ კარგავთ მართლა თავსა,
ამის შემდეგ რასაც სთესავთ,
ამ ქვეყანას სისხლს გაიღებთ,
დათესილი მოსავლიდან
იმ ქვეყანას თან წაიღებთ.

ჩლატუნა

ჩლატუნათა შენ ითვლები,
რომ დალევ და დაითვრები,
სარკეშია ვერა ხედავ
აგწეწია მუდამ თმები.

ჟანგლიორი რომა ხდები
გადგილახავს დიდი მთები,
არეულად ლაპარაკობ
გიჟი ხარ და მართლაც ყბედი.

ეს სიტყვები დაიჯერე
ვირი ხარ და ვირად რჩები,
შენ გგონია გეჩვენება
ამოგსვლია ვითომ რქები.

ბრძოლის ველზე კაცებია

ბრძოლის ველზე კაცებია,
რასა ფიქრობს კაცუნები?
მათი ფიქრი და ოცნება
დოლარია და ფულები.

ბრძოლაშია გმირი კვდება,
ტურისტობენ კაცუნები,
ქალებიცა თანა დაყავთ
რომ იშოვნონ მათ ფულები.

უნამუსომ, ქურდბაცაცამ,
შეიძინა ბევრი ფული,
ბევრმა კიდევ აფხაზეთში
მიუშვირა ტყვიას გული.

მტერი თუკი შემოიჭრა,
მაშინ ნახეთ კაცუნები,
ცოლშვილსა ფეხქვეშ გაუშლის
ჩაუთვალოს თან ფულები.

კაცუნები თვითონ კიდევ
ოთხზე დადგნენ ვაცივითა,
ისეთი ლაქია გახდნენ,
არ შერცხვებათ კაცივითა.

კაცუნებო რასა ფიქრობთ
ემალებით ბრძოლის ველსა?
გამარჯვებას ვიზეიმებთ
მერე ვნახავთ თქვენსა დღესა.

თავისუფლება

თავისუფლებავ შენა ხარ ჩვენი,
შენთვისა იბრძვის ქართველი ერი.
ჩვენ ყველას გვინდა თავისუფლება,
და ამისათვის მოვკიდეთ ხელი.
ჩვენი მოძმენი სისხლით, ხორცითა
ქართველო კაცო ძმაა შენი.
ერთად რომ ვიყოთ შეკრული მთელი,
ვერ დაგვამარცხებს მოძალე მტერი.
ხელმძღვანელისა მოსმენა გვქონდეს
უპირველესი საქმია ჩვენი.
თუ ვერ გაუგებთ ერთი მეორეს,
მაშინ გვქონია დათვლილი დღენი,
ვისაც კი უყვარს სამშობლო ჩვენი
არ დაივიწყებს ქართველი ერი.
ვინც საქართველოს თავსა შესწირავს,
უკვდავი იყოს მისი სახელი.

მაშავერა

ჯავახეთის მთიდან მოხვალ,
და მიტომაც შენი მჯერა,
დმანისის მშვენება ხარ
შენ მიყვარხარ მაშავერა.
რამდენი რამის მომსწრე ხარ,
ხედავდა შენი თვალები.
შენი ხეობის გარშემო
გახსოვს ეს ნასოფლარები.
აქა ცხოვრობდა ხარობდა,

ქართველი ერის შვილები,
მტერი რომ გამოჩნდებოდა
თავსა აკლავდა გმირები.
ურდოებმა არ დაინდეს
დახოცეს ბავშვი და ქალი,
ცეცხლსა მისცეს და გადაწვეს
დმანისის ნაქალაქარი.
მაშავერა რომა ფიქრობ,
ქართველთ ამბავი რთულია,
მაინც იცოცხლებს ქართველი
არ გაიტეხო გულია.

ყაყიტა

დაუფიქრდი შენ ყაყიტა,
რა იქნება შენთვის კარგი?
მუშაობა შენ არ გიყვარს,
და მიტომ გვაქვს შენი დარდი.
გიყვარდეს მშობლის მოსმენა,
მოეშვი ღვინის სმასაო,
შენისთანები არ სვამენ,
სჯობს გაუფრთხილდე თავსაო.
სუყველა აგითვალწუნებს,
როგორც რომ ღამურასაო,
თვალები გაქვს და ყურები
ნუ ემსგავსები ბრმასაო.
ამის შემდეგა ყოველი,
რა უთხრა ყაყიტასაო,
მისგან ასეთი სირცხვილი
ავარდა მაღლა მთასაო.

დადიხარ გონ დაკარგული,
გზას აცდენილო ყაყიტა,
სირცხვილი უნდა იცოდე
ამაზე მეტი რა გითხრა.

სამშობლო ვის ყვარებია

სამშობლო ვის ყვარებია,
ვინ ყოფილა დღეს ქართველი?
აფხაზეთში ბრძოლის დროსა
მოიხვეჭეთ თქვენ სახელი.

მიწაწყლისათვის იბრძოდით,
იცოდით გმირთა ვალია,
მაგ თქვენმა ვაჟკაცობამა
მამულს შესწირეთ თავია.

თქვენა ერის სიყვარული,
გქონდათ მუდამ სულშია,
სამუდამოდ თქვენ იქნებით
ქართველ ხალხის გულშია.

თქვენ გიყვარდათ საქართველო,
გილოცავთ მარჯვენა ხელსა,
იცოდეთ დედა სამშობლო,
არ დაგიკარგავთ სახელსა.

თუმცა თქვენი დაღუპვითა
მთლად ოჯახი გაამწარეთ,
აქ სახელი უკვდავყავით
იქ გეფინოთ მზე და მთვარე.

რა დრო დაგიდგათ

გზები გაიხსნა საზღვარგარეთის,
მიდიან ხშირად მარტო ქალები,
სამუშაოდან უგზავნის ფულებს
სახლებში სხედან მარტო კაცები.
რატომ არ ფიქრობ ადამიანო,
ეს რა მოხდა შენსა თავზედა,
კუჭის გაძღომის გულისთვის,
მარტო აგზავნი საშოვარზედა.
რა გააკეთოს საზღვარგარეთა,
ვის ემსახუროს ვის გაეშალოს,
შენ გეხარია ქალის გაშვება,
გიჯობს, ოჯახი მოგეშალოს
აბა მითხარი რა გეხარია
ამის გამო უნდა ტიროდე,
მარტოდა დარჩი ოჯახში
და ჭამა-სმაზე ფიქრობდე.

შინაბერა

ოჯახისა შექმნისათვის
სუყველა დაუფიქრდება,
სიცოცხლე ბედნიერება
ქალსაც და კაცსაც სჭირდება.
თუ გინდა შექმნა ოჯახი
მაშ გაახილე თვალია,
ჯერ ახალგაზრდათ ითვლები
იფიქრე შენი ვალია.
სად გაგონილა იცხოვრო

არ შეიწუხო თავია,
შინაბერად დარჩენილხარ
ამპარტავნობის ბრალია.
სიბერისას კი იცოდე
აღარ გექნება თავია,
შვილები არ გეყოლება
იქნება ცოდვა ბრალია.

მე რომ ვფიქრობ

მე რომ ვფიქრობ, შენ იფიქრე,
მე არ გაგცვლი მთვარეშია,
თუმცა ფიქრით ვიტანჯები
რად ჩავარდი ამ დღეშია.

მე არაფერი მაბრალო,
ეს ხომ ბედგულის ბრალია,
მას შემდეგ რაც დაგინახე,
შენსკენ მომირბის თვალია.

თუმცა არა გვაქვს კავშირი,
ერთობით ბედით კრულსაო.
მაინცა ვფიქრობ ყოველთვის
მე შენთვის სიყვარულსაო.

სიყვარულისთვის იცოდე
მე შენთვის დავდებ თავსაო,
რად მიღირს მაშინ სიცოცხლე
თუ შენა ფიქრობ სხვასაო.

რა ვქნა

თვალმარგალიტო, ლამაზო,
სამიჯნურედ ხარ რთულია,
მას შემდეგ რაც გაგიცანი,
შენსკენ მომირბის გულია.
რა ვქნა რა წყალში ჩავარდე
რით გავიხარო გულია,
დავწვები არ მეძინება
საფიქრალი მაქვს რთულია.
ნეტავი გამაგებინა
რად ჩამივარდი გულშია
სიცოცხლის ფასად მიყვარხარ
შენ გენაცვალე სულშია.
სიყვარულში ვარ ჩაფლული
შენა ხარ ჩემი ბედია,
არა მქონია შემთხვევა
არც ასე გადამხედია.
ჩემო კარგო საყვარელო
შენსკენ მომირბის თვალები,
შენზე ფიქრით და ოცნებით
გუშლიაც გენაცვალები.

სოფლიდან გამოიქეცით

სოფლიდან გამოიქეცით
მოერიდენით ტალახსა,
სიზარმაცის გულისთვის
ჩამოხვედით ქალაქსა.
თქვენ თავებსა ვერ ინახავთ

წინ და უკან როკვით დახვალთ,
აღგეძვრებათ კუჭის მადა
სოფლისაკენ ლოკვით წახვალთ.
უნდა დაბრუნდეთ სოფელში
თქვენთვის ესაა მთავარი,
იქ გაზრდილი ხარ და გელის
შენი სახლი და ბაღნარი.
შენისთანები ბევრია,
ვინც სოფლად ნამყოფია,
კარგა დაფიქრდი ქალაქსა-
სოფელი უფრო სჯობია.

რამ დაგიბნელათ გონება

რამ დაგიბნელათ გონება,
ლიბრი გაკრიათ თვალზედა,
ძმებსა ხოცავთ და არ იცით
რა ხდება თქვენსა თავზედა.
გშურს შენი ძმისა სიცოცხლე
და არც კი იცი რაზედა,
აბა რა გითხრათ, არ გესმით,
ძმა რომ გაცვალე სხვაზედა.
მოძმესთან მტრულ საქციელით,
გაახარეთ თქვენი მტერი,
ისტორიას კარგად ახსოვს,
გადაშენდა ბევრი ერი.
ერთი მეორეს დახოცავთ
სიბრიყვითა შეთხელდებით,
მერე კიდევ ამის შემდეგ
ერთიანად ამოწყდებით.

შენ აფხაზეთო

ქართველთა კუთხევ შენ აფხაზეთო,
შენთვისა კვდება ეს ჩემი გული.
იცოცხლებს მარად, იცოცხლებს გული,
მანმადე ქართველს ექნება სული.
არ მიგატოვებთ შენ აფხაზეთო,
შენთვის მოკვდება ერი და ბერი,
მიყვარხარ ისე როგორც მშობელი,
ისტორიულად ხარ მუდამ ჩვენი.
თუ არ გამართლდა ჩემი ვედრება
რასაცა ფიქრობს ეს ჩემი გული,
აფხაზეთი ხომ საქართველოა
არ დამიტანჯო ღმერთო მე სული.
ისე არ მოვკვდე, რომ არ ვიხილო
აფხაზეთი რომ ჩვენი არი,
საქართველოსა დაბრუნდებოდეს
ჩვენ წინაპართა მონაპოვარი.

ჩემი სოფელი ჯავახი

მე ყოველთვის მეყვარები,
ძველო მიჯავ, ჯავახო
სიმრავლე და დღეგრძელობა.
ცუდი არასდროს არ ნახო,
მე მახსოვს ჩემი ბავშვობა,
ქუჩებში იყო ლხინია.
მთელი სოფლისა ბავშვები
სუყველა აქ დაზრდილია,
სიმრავლე იყო სოფელში

გაჰქონდა ჟრიამულია.
დიდპატარობა ვიცოდით,
რაც ახლა დაკარგულია,
გიყვარდეთ პატივისცემა
გულები გქონდეთ თბილია,
სუყველას პატივი ეცით
ამ ქვეყნად გაჩენილია.
შევქუჩდებოდით ბავშვები
იყო ცეკვა და თამაში,
სულ სიყვარულში ვიყავით
არ გადაზრდილა კამათში.

ტკბილო ქვეყანავ

ჩემო ტკბილო ქვეყანავ...
ხალხი გახდა ჭრელი,
არასოდეს საქართველო
არ გახდება მთელი.
ცოცხლები ვიყოთ ქვეყანას
უნდა მივხედოთ ჩვენაო,
რამდენად სამწუხაროა
ხმობა დაიწყო ხემაო.
ქვეყნისთვის საფიქრალია
გვქონდეს კარგი ძმობა,
გულიდან ვერ ამოვიღეთ
ერთი მეორის მტრობა.
ბოროტებას მიყოლიხართ
არა გესმით თავი ბოლო,
ერთი ვინმეს ჯავრისათვის
გავიწყდებათ სამშობლო.

ცოცხალი მკვდარი

მე ისა მჯერა არა ვარ მცდარი,
ჩვენში არსებობს ცოცხალი მკვდარი.
ყოველ დღე ლოთობს და არის მთვრალი
აღარც გვექნება სამშობლო მყარი.
ის გვირჩევნია აუბათ მხარი,
რომ არ დავკარგოთ სახლი და კარი,
ქონებას იძენ ისიც არ იცი
არ გყავს შვილები, სხვისია იცი.
მარტო ქონება, შვილების გარდა
შენა ყოფილხარ უყვინო მართლა,
სამშობლო მიწა ვითომ ჩვენია,
დიდხანს სიცოცხლე არ დაგვრჩენია.

ღირსეულ ქართველ ქალს

ძვირფასო ქართველო ქალო,
იყავი მუდამ ბრძენი.
კარგი ოჯახი გექნება,
სახელი იქნება შენი.
შვილებს მრავალს ზრდით,
ამრავლებ ერსა თავადა,
დღეგრძელობასა გისურვებ
სამშობლოს გასახარადა.
ზოგი ერთსა ქართველ ქალსა,
რომ არ აქვს თავდაჭერა,
ამის შემდეგ მის მიმართა –
ზოგიერთის აღარ მჯერა.

მოგიწოდებთ მამაკაცებს

ოჯახს მიხედოთ ვალია,
უყურადღებოდ რომ დარჩეს
სახლიდან გარბის ქალია.
ძლიერ სახლ-კარსა იცოდეთ,
ვერ შექმნით უდარდელადა,
კარგი შრომაა საჭირო
მიზანს მიაღწევ ძნელადა.
შვილებს ბევრს იყოლიებთ-
დაგეზრდებიან ხელადა,
სიბერეში კი იცოდეთ
იქნებით უდარდელადა.
იყავით კარგად ყოველთვის,
მე დაგილოცავთ შვილებსა,
დღეგრძელობასა გისურვებთ,
მრავალ-შვილიან მშობლებსა.

თუ შეხედავ ადამიანს

თუ შეხედავ ადამიანს
არის ჭკუად მყოფელი,
იმეგობრე მასთან ერთად
ტკბილად განვლო სოფელი.
ცუდს არაფერს გააკეთებს
ბუნებრივად არის თბილი,
გაგებულთან ეს იცოდე
სიცოცხლეა მეტად ტკბილი.
ღმერთმა ყველა დაიფაროს
არა გქონდეს გასაჭირი,

ცუდ მეგობარს გაეცალე
თუ არ აქვს თავში ტვინი.
ნერვები მოგკლავს იცოდე,
სიცოცხლე სწრაფად გშორდება,
უტვინო გაუგებარი
არასდროს გამოსწორდება.

ისე არ მოკვდე

ისე არ მოკვდე ამ ქვეყანაზე
ჩვენი ნაშრომი არ დაინახონ,
და თუ მოკვდები შემდეგა
მშობლებს ვჯობივართ მათ დაიძახონ.
ქვეყნად ღირსია ვაჟკაცი კაცი,
ცოცხლად რომელიც დაიარება,
სიყვარული აქვს ერისთვის,
ხალხმა მიიღოს აღიარება.
ჩვენ შვილებსა გაზრდილებსა
როცა ხალხი აფასებს,
რა თქმა უნდა გვეხარია
სამშობლო რომ გვაფასებს.

შენა ხარ კაცი

ბევრი ცდილობს მიტაცებას
საქართველოს მიწის,
ყურადღებას არვინ აქცევს
მტერმა უკვე იცის.
რომა ვართ გათიშულები

ყველა გავიდა თავსა,
მავთულ ხლართებსა ავიღებთ
თუ მივცემთ მხარი მხარსა.
ითვლები როგორც კაცი,
შენა ხარ დიაცი,
ნუ ვიქნებით მხდალები,
გავახილოთ თვალები.

ვინც ამ ქვეყნად

ვინც ამ ქვეყნად ცუდი საქმე აკეთა,
სიკეთის გზა სამუდამოდ დაკეტა,
ღმერთმა იცის ცუდის გამკეთებელი,
ოჯახს ინგრევს არ ყავს გამგრძელებელი.
შვილებისთვის ცუდი არ გააკეთო,
საჭიროა ქვეყნად კარგი აკეთო,
ჰარამი ლუკმა შენზედა,
შვილებს დაადგა ყელზედა.
უნდა ვიფიქროთ შემდეგა,
ღმერთი მოიცლის ჩვენზედა,
შეიყვარე სიკეთია მავალი,
ცხოვრებაში სინდისია მთავარი.

ვინ დაიწყო ომი, სად დაიწყო

სამაჩაბლო აფხაზეთში
ვინ დაიწყო ომი?
სააკაშვილს რად აბრალებთ
თვალ ყურში გაქვთ ცომი.

მედვედევმა ხომა თქვა
ომი მათ დაიწყეს.
ჩვენს მიწაწყლიდან გაგვდევნეს
ხალხი სახლკარი დაგვიწვეს.
მოღალატე ქართველები
მიადგნენ პუტინს კარზედა,
ფეხქვეშ ლაქუცი დაუწყეს
ხელი გადუსვეს თავზედა.
ჩასული ჯგუფი ვირითა,
სუყველა არის გველები,
საქართველოს ბრალსა სდებენ
სამშობლოს გამყიდველები.
რუსებმა ომი დაიწყეს
ქართულ მიწაწყალზედა,
რომ არიან ოკუპანტები
და არ იღებენ თავზედა.

არ ვარ სხვასავით დიდი

არ ვარ სხვასავით დიდი,
არცა ვარ მეტად მშვიდი.
არ მინდა ბევრი ქონება,
მქონდეს მშვიდი ცხოვრება.
მუშა კაცი ყოველთვისა,
შრომით იძენს თავის სარჩოს.
ვინც აფასებს მუშის ნაშრომს,
ისეთ კაცსა გაუმარჯოს.
დღეგრძელობა მშრომელ ხალხსა,
ცოლშვილი რომ გაახარონ.
ბედნიერება მათ ოჯახებს
სულ სიკეთით გაიხარონ.

მიყვარხარ ძლიერ

მიყვარხარ, ძლიერ მიყვარხარ,
მსოფლიოსთვის სანატრელო,
ტურფა, ლამაზი, კარგი ხარ
ჩემო ტკბილო საქართველო.
“დედა“ სამშობლო თუ გიყვარს
ხარ ქვეყნისა სიყვარულში,
მიწა წყალი არ გაყიდო
არ იცვლება ოქრო ფულში.
უცხო კაცზე მიწას ყიდი,
რას უტოვებ მომავალსა,
კარგა უნდა დაუფიქრდე
ამოგთხრიან მერე თვალსა.
ცუდად გამოსდის ქვეყანას,
და მეც მაწუხებს ეს გული.
ჩემსა გამოთქმულ ლექსებში
ჩავდევი მე ჩემი სული.

გამოფხიზლდით ქართველებო

რა გვეშველება ქართველებს
მარტო რომ ფიქრობ თავზედა,
უცხო ხალხი მრავლდებიან
რით ვართ ნაკლები სხვაზედა.
გადავხედოთ ჩვენსა ერსა,
მომავალი ცოტა გვყავს.
შვილების ყოლას არ ფიქრობს
და არც იწუხებს თავს.
სხვის ხელში რჩება ქვეყანა,

სამშობლოს უნდა შენება.
თუ არ ვამრავლეთ შვილები
არაფერი არ გვეშველება.
წამიხდა გული და სული,
საქართველოს ვხედავ ჭრელსა,
ჩვენთან ბლომად სახლდებიან
ყიდულობენ ყველაფერსა.
იფიქრეთ ძლიერ ოჯახზე,
დაუფიქრდით ყველაფერსა,
ქვეყნისა ძლიერებისთვის
სიცოცხლე აქვს სიმრავლესა.

გიყვარდეს შენი ქვეყანა

თუ შენ გიყვარს საქართველო,
არ გაყიდო მიწა-წყალი,
თუ სურვილი გაგიჩნდება,
დაითხარე ორთავ თვალი.
წინაპრებმა მიწა-წყალი
სისხლის ფასად დაიცვა,
ახლანდელმა არა ხალხმა
დოლარებზე გაყიდა და გაიცა.
არაფერი არა გვრჩება
ქვეყანა რჩება ვალშია,
ჩინოვნიკები ამ ქვეყნის
ნაცარს გვაყრიან თვალშია.
ზემოდანაც დაგვძახიან
არ ამოიღოთ ხმაო,
თანაც გვეუბნებიან
ხედავთ თავისუფლებაო.

ვისთვის თავისუფლებაა,
ამასაც უნდა თქმაო
ვისაც ხელი არ უწვდება
აქვს დაკარგული ხმაო.

აყირო

რატომ ლოთობ აყირო
მუდმივად ხარ მთვრალი,
შვილებს გაზრდა სჭირდება
ოჯახი გყავს საფიქრალი.
ცოლშვილზედა არა ფიქრობ
მუცელს აძლევ ნებასა,
არაფრად გიღირს ოჯახი
თავსა აძლევ შვებასა.
მუცელი თავზე დაგისვამს
შუბლის ძარღვი გაგწყვეტია,
აღარავის აღარ უსმენ
თუმც სიგიჟე დაგწყებია.
სახე გაქვს დასიებული
გავხარ ბოღარა ძაღლსა,
რამდენიც უნდა გარიგონ
მაინ იფუჭებ თავსა.

გაიჯეჯილეს

გაიჯეჯილეს ზოგი ერთებმა,
ქართულ მიწასა დაადგეს თვალი,
და ქართველ კაცსა აღარ ექნება

სამშობლო მიწა და წყალი.
ყიდიან მიწებს სულწაწყმენდილნი,
ასე ჰგონიათ მათ საკუთრება,
უსამართლობა ყველგან არსებობს,
და ამის შემდეგ რაღა იქნება.
ქართველო ხალხნო დაფიქრდით!
ოქროს საყდრისი ჩვენია,
ვინც მემკვიდრეობას დაანგრევს
ის ქართველების მტერია.
არგონავტიკაში სწრია
კოლხეთის ოქროს საწმისი,
უნდათ ბილწ გაუმაძღრებსა
გაძარცვონ ოქროს საყდრისი.
გაძარცვისაგან ვინც იცავს
არა ზოგავს თავის თავსა,
სამშობლოს სიყვარულისთვის
გმირულადაც იხდის ვალსა.
გენაცვალეთ ჩემო ხალხნო,
ვინც იმაღლებს დღესა ხმასა,
სიმართლისა გულისათვის
დაანახეთ ქვეყნის ბრმასა.

საყვარელ დედას

ჩემო დედიკო სულის ჩამდგმელო,
აკვანში მზრდიდი ფეხის ამდგმელო.
მიყვარხარ მუდამ კარგო გამზრდელო,
სამაგალითო ტკბილო ამღზდელო.
ვინ გადაიხდის დედის ამაგსა,
აბა ვინ მეტყვის მართლა ამასა,

რამდენი შრომა ჩვენსა გაზრდაში,
რამდენი შრომა ჩვენსა სახლკარში.
სიცოცხლე გარბის ჩვენი ქონების,
სიკვდილი მოდის ჩვენი ცხოვრების,
მარტო იმით ვარ გახარებული,
რომა გვყავს ახალ დაბადებული.

არ უყვარდა მუშაობა

გაზარმაცდა ვირი,
სულ ერჩივნა ძილი.
გაუგებარ ვირსა
არა ესმის სხვისა.
არაფერზე არა ფიქრობს,
ცარელა აქვს ტვინი,
უგუნური რომ არის
არაა გასაკვირი?
რაც მეტად უყვირი
არ მოგისმენს ვირი,
ყურები აქვს დიდი
მაინც ჰქონდეს რიდი.
ყროყინითა იკლებს –
ხასიათია ვირის,
ყოველ დღიურადა
სათობით ყვირის.
თავი არ შეიწუხო
გაუგებარ ვირსა
რაც არ უნდა ეცადო
ვერ შეუცვლი ტვინსა.

მამა არ მყავდა სამწლიდან

ომში წავიდა ხომ ვიცი,
უნდა მოგითხროთ ამბავი
ჩემო გიორგი, დავითი.
მწარეა უმამოდ გაზრდა
მიყვარდა ჩემი გვარია,
არ გავიტეხე მე გული
არ შევირცხვინე თავია.
ვინ იყო პირველად მოსული,
ვინ მოიტანა გვარია,
მოსე მოსულა მიჯაში
ჯინჭარაშვილი თავია.
შევადგინე გვარის რუქა
განშტოება რომ ვართ ჩვენა,
ამის შემდეგ გააგრძელებთ
ისტორიულ საქმეს თქვენა.
და გადასცემთ შვილიშვილებს
ჩვენს შრომასა საქმიანსა,
იმედი მაქვს გააგრძელებთ
არ შეარცხვენთ თქვენსა გვარსა.

მშობლებს ეცით პატივი

მშობლები ფიქრობს ყოველთვის
შვილები ყავდეთ კარგი,
შვილები თუ გამგონია
არ ექნებათ მშობლებს დარდი.
ზოგი შვილი არა ფიქრობს
შეცდომას უშვებს რაში,

მშობლებისა არ მოსმენით
ქვას დაირტყამს თავში.
ღმერთმა ქნას და უკეთესად
შვილს ეცხოვროს სახლში,
მოაგონდეს დარიგება
ტკბილად იყვეს ხალხში.
თავს გევლებოდნენ მშობლები,
იჯექი მათ თვალში,
კარგი ვეღარ გაგიგია,
რადგან არ გაქვს თავში.

ოჰ გულო ჩემო

ოჰ გულო ჩემო როდის გაიგებ!
რომ ვერ შევძელი მაღლა აწევა
ამ ცხოვრებაში ძნელი ყოფილა,
სიბოროტისგან თავის დაღწევა.
წლები გავიდა ჩემი ცხოვრების,
გამოსწორდება მე ასე ვთვლიდი.
მაგრამ ამაოდ არ გამიმართლა,
წყალმა წაიღო რასაცა ვქმნიდი.
მაინცა ვფიქრობ სიკეთე ვთესო.
და მინდა ვიყვე ქვეყნისა ქებით
ისე ვიცხოვრო ამ ქვეყანაზე
ჩემი სამშობლო ვატარო მხრებით.
ძმობა გვქონდეს გვიყვარდეს ჩვენი
ისე ვიცხოვროთ არ გვყავდეს მტერი
უნდა ვიფრინოთ სიკეთის ფრთებით
და ამის შემდეგ კარგად ვიქნებით.

შენ ქალი იყავ

შენ ქალი იყავ ამ ქვეყანაზე,
არამქონია მე ფიქრი სხვაზე,
შენი ეშხითა ჩემო ლამაზო,
მე დავცურავდი სოხუმში ზღვაზე.
ექსკურსიაზე ერთად წავედით
მოვინახულეთ ათონში მღვიმე
ვიყავით ერთად თანაც ვფიქრობდით
არ შეგხვედროდა ნაცნობი ვინმე.
არ მავიწყდება მას შემდეგ
სიყვარულს დიდი ძალა ჰქონია
როდის ღამდება როდის თენდება
გულში მიზიხარ ასე მგონია.
წახვედი ბოლოს და მიმატოვე
ვიყავი შენთვის გულითა თბილი
არ დაგივიწყებ სანამ ვიცოცხლებ
და მაინც შენა ხარ ჩემთვისა ტკბილი.

ჭინჭარი

ჭინჭარი ვარ ჭინჭრის შვილი
ლექსები მაქვ დაწერილი
კაი კაცის ვარ მკურნალი
ცუდი კაცის ვარ მსუსხავი
სამშობლო უნდა გიყვარდეს
როგორც რომ დედასა შვილი
კარგი კაცი არის გმირი
ცუდი კაცი არის ჭირი
ვინ უშველის ქვეყანასა

თუ გაუჩნდა გასაჭირი
ამისათვის უნდა ყავდეს
სამშობლოსა კარგი შვილი
თუ სიყვარული იქნება
გვექნება მუდამ ლხინი
დაწყნარებული ვიქნებით
ტკბილად გვექნება ძილი.

როგორ მომწონს

როგორ მომწონს შენი ტანი
სახე თვალი წამწამები
როდესაც შენ დაგინახავ
იმ წუთშია მე ვითვრები
შემიყვარდი არ ვიცი რაზე
მარტო შენა ხარ ამ ქვეყანაზე
არა მქონია მე ფიქრი სხვაზე
უარს ნუ მეტყვი შევცდები ჭკუაზე
სიყვარულისთვის ავდივარ მთაზე
რომ დავიყვირო მიყვარხარ ძალზე
იქნებ გაიგო ყვირილი ჩემი
თანახმა გახდე მომხვიო ხელი.

წინად ქალსა

წინად ქალსა გასინჯავდნენ,
დააგდებდნენ ბილკს კეტსა,
ქალი თუ კი გადივლიდა,
დაკარგავდა მაშინ ბედსა.

ასეთ ქალსა დაარქმევდნენ
დუცსა, ბეცსა, აბუეტსა
ქალსა ასე ამოწმებდნენ
ასე იყო გომარეთსა
დღეს კი ერთი შეხვედრითა,
არასცნობენ ერთმანეთსა,
ხდება უცებ ქორწინება,
დროებითი არის დღესა.

ლოთი

ლოთმა დღეს ბევრი დალია!
არ ეძინა მთელი ღამე,
მისი ფიქრი ასეთია,
რა დალიოს კიდევ ხვალე.
დილით ადრე რომ გამოდის,
ელოდება ვიღაც სხვასა.
აქეთ იქით იხედება,
ელოდება დალევასა.
მუცელმა რომ დაგიმონა,
დაუფიქრდი შენ ჭკუასა,
მათხოვრობა დაგიწყვია,
მოერიდე ხალხის თქმასა.

სილამაზეა

სილამაზეა ირგვლივ მთა-ბარში
რომ გათენდება ჩვენს ქვეყანაში
ასეთ ქვეყანას ვერსად ვერ ნახავ
არ გაიცვლება არასდროს სხვაში

შემოიარე ყოველი კუთხე საქართველოში.
რა ლამაზი ყოფილა, მაშინ მიხვდები.
დაცვა სჭირდება სამშობლოს მიწას
გულს დამიმძიმებს დიდი ფიქრები.
ერის ცხოვრება როგორ იქნება.
რამდენი რამე გვაქვს საფიქრალი
როგორ დავიცვათ, ჩვენი ქვეყანა
თუ ვაჟკაცი ხარ, აბა მითხარი.
უნდა გვიყვარდეს ერი და ბერი
ჩვენ სიყვარული გავუზიაროთ.
დავიცვათ ჩვენი სამშობლო
ღობესავით გარშემო შემოუაროთ.

ხალხნო

ქართველო ხალხო ქალნო და კაცნო
რატომ არა გყავთ მრავალი შვილი
უნდა ფიქრობდე დიდ ოჯახზედა
უნდა ფიქრობდე ქართველ ხალხზედა.

ჩვენა ვმცირდებით სხვები მრავლდება
დალოცვილ ქართულ, მიწა-წყალზედა
მარტოკა ფიქრობთ თქვენსა თავზედა
რითა ხართ ნაკლები სხვაზედა.

სამშობლო გიხმობს ქართულ ხმაზედა
მოვა დრო დაგვაჯდებიან თავზედა
იცოდე სიმრავლე გვმართებს სიმრავლე
დაფიქრდი როდისღა მოხვალ ჭკუაზედა.

დარიგებით ყოველ კაცსა

დარიგებით ყოველ კაცსა
სიმართლე უთხრა სჯობია
თუ არ მოგისმენს იცოდე
ამ ქვეყნად დასაგმობია.

სინდისი ჰქონდეს ყოველთვის
კაცის სიცოცხლე რთულია
კაცურ კაცივით იცხოვროს
არ შეიცვალოს რჯულია.

არ იყოს გაუმაძღარი
ჰქონდეს კაცისა გულია
ისეთი კაცი მოისპოს
თუ ძმა ყავს დაჩაგრულია.

მიხედოს თავის მოძმესა
და ნუ იქნება ღორია
სამშობლო მიწებსა ყიდის
საქვეყნოდ ჩასაქოლია.

სიყალბეს თავი ანებე

ვერ შოულობდი სამსახურს.
დარბოდი ვით, მეძებარი
აქ ირბინე, იქ ირბინე
შეგხვდა კარგი მეგობარი.

გაცნობიდან, გაიგევი
მასა ჰქონდა ბევრი ფული.
ხელის გულზე დაგისვა
მოგცა დიდი სამსახური.

საქვეყნოდა თქვი ვინაო
მასთან დაიდე ბინაო
ეგ შენი საქმე არ არის
სჯობს წასულიყავ შინაო.

გაქსუებული, რომ დადიხარ
გამელილი როგორც ტურა
ტვინში სიბეცე გქონია
თვალებით ხარ, ბრმა.

წუწკი

წუწკი რომ ხარ,
ცუდი საქმე გქონია.
აქეთ-იქით დაწანწალებ,
მე სირცხვილი მგონია.

რასაც თვალით დაინახავ,
უსირცხვილოდ იქცევი,
ყურადღებას არვის აქცევ,
ყველაფერზე გიჟდები.

მარტო მუცელსა უყურებ,
გიყენია მუცლის მახე,

რაღა გითხრა უვარგისო,
ყველაფერი დავინახე.

მორიდება შენ არა გაქვს,
ადამიანი არა მგონიხარ,
ვერა ძღები ვერაფრითა
გაუმაძღარი ღორი ხარ.

უბედო და ბედიანი

ოჯახისა შექმნის დროსა,
შეხვდა უბედოსა ბედიანი.
ბედიანსა, შემდეგ ხედავს,
რომ ყოფილა ბნედიანი.

რა ქნას ეხლა უბედომა,
როგორ უნდა მოითმინოს?
ცუდი ექნება სიცოცხლე,
დროზე უნდა მოიცილოს.

დატანჯული სულ იქნება,
თუ ვერ შეძლო მოცილება,
დაგვიანებულის შემდეგ,
აღარა ღირს გაცილება.

შენი ცხოვრების მანძილზე,
ნერვები მოგკლავს იცოდე,
ნულარ აყვები ნერვებსა,
უნდა დაიცვა სიცოცხლე.

მოგონებები ომზე

დაუვიწყარი წლები მიჰქრის,
ჩემი ბავშვობის მოგონებები,
გამახსენდება ის პატარობა,
სამამულო ომზე ვღელდები.

სამი ბავშვი დავრჩით ობლადა,
უმამოდ გვზრდიდა ეს დედაჩემი,
კიდევაც მოხდა საქართველოში
არევ-დარევა ჩვენში,
ომმა ბევრი იმსხვერპლა,
სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.

საქართველოს ყავდა გმირი, ხალხი — მეფენი დავით აღმაშენებელი

შენ მეფე იყავ გმირო დავით ძლევამოსილი
საქართველოს ქვეყნის გამაერთიანებელი
სახელოვანი ძლიერი მეფედ-მეფე დიდებული
ღმერთისგან იყავ მეფე დავით ცხონებული

ქვეყანამ იცის თქვენი გმირობის სახელი
დაიწყე ქვეყნის მიწა-წყლის გაერთიანება
ჯერ გაუსწორდი შინაგან ურჩ მტრებსა
შემდეგ ეკვეთე გარეულ მოსისხლე მტრებსა

ახგავე საქართველოდან დასახლებული მტრები
გააძლიერე საქართველო ქვეყანა შენი
თქვენი შიშითა გარბოდნენ მტრები
შენ დაუმტვრიე დამპყრობლებს ყბები

ყველა მოსულ მტრებს ბრძოლის ველზე ხვდები
დიდ ბრძოლებში იმარჯვებდი არაფერში სცდებოდი
ბევრმა მტერმა შემოსულმა აქ დატოვეს თავები
საქართველოს აღარ ჰქონდა გადასახადი ვალები

შენით გაძლიერდა გაერთიანდა საქართველო
კავკასიიდან, ბასიანი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
ქართველი ერის მიწა სამკვიდრო საცხოვრებელი
იყავი ქვეყნის პატრონი ყურისმგდებელი

მუდმივად გყავდა მებრძოლი გაწვრთნილი ჯარი
ხალხი განათლდა, გამრავლდა, ქვეყანა იყო მშვიდი

ააშენევი, ციხე-სიმაგრე, ეკლესიები და მონასტრები
საქართველო იყო მოსახლეობით დიდი

აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა გაერთიანებას
დავით მეფეს საქართველოს
გამაერთიანებელი გეწოდა
მას შემდეგ მრავალჯერ გვესხმოდნენ მრტები
მიწა-წყალი მიითვისეს დაგვიხოცეს წინაპრები

სამშობლო ჩემო

უფლის ნაჩუქარ ქართულ მიწაზე
ქართველი ხალხი სულ ბრძოლებშია
ჩვენი ქვეყანა ხალხს დაუცვია
მტრისთვის სამშობლო არ დაუთმია

შენც მოვალე ხარ უნდა დაიცვა
ქვეყნად მანამდე სიცოცხლეა
დარჩეს სახელი არ დაიკარგოს
რომ დაიბადე ქართველი გქვია

ქართველსა კაცსა დაბადებულსა
სამშობლო გიყვარს ხომ სახელია
მცველად იყავი შენი ქვეყნისა
მიწა-წყლის მცველი საყვარელია

დედა სამშობლოს იცავდა შვილი
მრავალი ჰაყვდა ქვეყნას გმირი
სიციცხლეშია იყავი ზრდილი
გქონდეს ქვეყნისა ვალი მოხდილი

იყვეს მუდმივად ერი ძლიერი
ვერა ბედავდეს მტერი ტიელი
სამშობლო ჰქონდეს მშვიდობიანი
ყოველთვის იყვეს ნათელ-მზიანი

ადამიანო

ქართველადა ხარ დაბადებული
სამშობლო გაქვს დიდებული
ქვეყანა არის ისტორიული
იყავ ყოველთვის გახარებული

არ დაგეკარგოს თავისუფლება
არ ყოფილიყვე სენ დაბნეული
არასდროს არ დაგეკარგოს
სარწმუნოება, ენა, მამული

Aარვის დაუთმო შენი ქვეყანა
მტერთან იყავი შეუპოვარი
გქონდეს სამშობლოს სიყვარული
გიძგერდეს გული პატრიოტული

ძველთა ძველი ქვეყანაა
აღარ უნდა ამას ფიცი
სულ პირველად წერა-კითხვა
კოლხებისგან მოდის ვიცი

წარსული

ჰქონდათ დიდება ცხოვრობდა ხალხი
ვინც მოიგონებს ის არის კარგი
ქვეყნიერებს არავინ იცის
საიდან მოდის და საით მიდის

მოძრაობს ხალხი აქა-იქ დარბის
ჩვენი სიცოცხლე სწრაფადა გარბის
უცბათ მოსწყდები როგორც ხეს ვაშლი
ამის შემდეგა ხელ-ფეხს ვერ გაშლი

ქვეყნიერება რომ არის დიდი
ჩვენი სიცოცხლე კი არის ფლიდი
ცხოვრების დროსა მეგობარს ყიდი
ბოლოს კი წახვალ არა ხარ მშვიდი

მეგობართანა არ იყვე მტრული
მასთან იყავი მუდმივად ძმური
დიდხანს იცოცხლე იყავი ზრდილი
სიცოცხლის შემდეგ არის სიკვდილი

თავსატკივარი

თბილისში აღმაშენებლის გამზირზე
დროსტარების მაგიდები გაშლილა
რისთვის არის ეს ყველაფერი ფალშივია
დედაქალაქის ყოფა-ცხოვრება ჩაშლილია

უცხო ხალხსა ვისაც როგორც სურთ
შემოუზღუდავთ ირგვლივ ზღუდე
რა ვნახე დავაკვირდი დავინახე
დგას ჩუჩელა, სიმბოლოა გველის ბუდე

გამყიდველებო ვერა ძღებით ვერაფრითა
უცხო ხალხი გირჩევნიათ ჩვენსა თავსა
თქვენ თუ გინდათ ოჯახებში ჩაისახლეთ
ჩვენ ქონებას რატომ აძლევს სხვასა

რასა ხედავდა ჩემი თვალები
გატიტვლებულან ბავშვი ქალები
მათ მისცემიათ შავი ფიქრები
დგანან თამამად შიშველ-ტიტვლები

დაუფიქრდი

ვერა ხედავ შინაურსა
პატივსა სცემ გარეულსა
ერისა კაცსა მაშველსა
ჩვენი სამშობლოს დამცველსა

იცი ქვეყნისა ღალატი
ბევრი შენგანის ბრალია
ბოროტად რად დაიბადე
გიყურებ დიდი ხანია

ხალხი გირჩევდა რაზედა
რატომ არ ფიქრობ მათზედა
უცბათა გახდი რამხელა
სისხლი გაგვიშრე თავხელა

რად დაემსგავსე ღრუბელა
სისხლის მწოველი წურბელა
პარაზიტად რომ შობილხარ
ვითომაც მკვდარი ყოფილხარ

გაბღენძილი

რომ დაგისვეს მუხლის თავზე
მითხარ მეტი რით ხარ სხვაზე
მარტო ფიქრობ შენს თავზე
არ ყოფილხარ შენ ჭკვაზე

გასკდომამდე მანდ იჯდები
გაატარო ტკბილი წლები
გაგიტაცებს უცებ წყალი
იქ დაგხვდება სანარწყავი

დაგატყდება კიდევ ქარი
აგერევა გზა და კვალი
არ გექნება გასაქანი
იარსებებ როგორც მკვდარი

გაახილე ორთავ თვალი
ნუ გექნება ხალხის ვალი
მერე ცუდად გამოგივა
ეს იქნება შენი ბრალი

მგლების ხელში

საქართველო რა ჩავარდი
მგლების ხელშიაო
პატრონობას არვინ გიწევს
გჭამს ვით ლეშიაო

ჩვენი ქვეყნისა ქონება
სულ მათ ხელშიაო
საწყალ ხალხსა შეხედეთ
რა ცუდ დღეშიაო

ვითომ ქვეყანა ჩვენია
ხალხი კი მშიერია
მგლებსა ასე სჩვევია
საწყლისთვის არაფერია

შვილები როგორ დაზარდონ
დაუდგათ ცუდი დღენია
მცირდება ჩვენი ერია
მთლად უცხო შემოსევია

ვერა ხვდები

უნდათ მტრებმა მოიტაცონ
საქართველოს მინდორ-ველი
სამუდამოდ არ გადასცეთ
ბევრი არის ჩვენი მტერი

ვხედავ ხალხსა გაუმაძღარს
მტრებსა ჩვენი მიწა-წყლისა
ასეთ ხალხსა ნურას მისცემთ
საქართველოს უთხრის ძირსა

უცხოელებს მიწას აძლევ
ფულს ართმევ და ღობავს ზღუდეს
არა ფიქრობ უცხო კაცი
რომ იშენებს მუდმივ ბუდეს

თუ იქნები გაგებული
შვილებისთვისა ქებული
სხვებზე მიწას ნუ გაყიდი
მიწა-წყალსა გაუფრთხილდი

2017 წლის 2 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნები

ღამე დადიხარ ბანერებსა ხსნი
მაგხელა კაცსა არა გრცხვენია
ხალხი გხედავდა ბანერყლაპია
ვინ დაგავალა შე დოყლაპია

ათ ლარად სინდისსა ყიდი
ათ ლარისათვის გამხდარხარ ფლიდი
ბანერყლაპია, ბანერყლაპია
ვინ დაგავალა შე დოყლაპია

ცრუ

ცრუობისთვის არ მიიღო ფული
იცოდე დაგეტანჯება გული და სული
დიდხანს იფიქრე რას გეტყვის გული
წახვალ ქვეყნიდან სულით ტანჯული

ერი სამშობლო გიყვარდეს
არ უნდა დავკარგოთ ხმები
სიმართლეს უნდა ვიცავდეთ
ჩვენ ქვეყნის პატრიოტები

თავქარიანი

რა დღეში არის სამშობლო
ქვეყანა დარჩათ თავქარიანებს
გმირებს სახელი მათ დაუკარგეს
ჩვენსა მამებს, პაპებს, ბაბუებს

უცხო ხალხი პატივსა სცემენ
თავქარიანო რატომ არ გესმის
ჩვენი გმირები ვითომ სხვებია
შენისთანები თავმოჭრილი მტრებია

გმირთა სახელი, ძეგლი შეურაცყავი
ქართველი კაცი არა სცდებოდეს
მაშინ ეშველება ქართველსა ხალხსა
მოღალატე, რომ ადრე კვდებოდეს

თავქარიანო გაიხსენე ის დღეებია
სხვის გასახარად საქმეები გიკეთებია
შეიძულე ხალხი გმირი ძმანია
გაყიდევი ველ-მინდორი მთანია.

ქართველად დაიბადე რისთვისა
ჩვენი მიწა გადაგეცა სხვისთვისა
ფულს იღებდი წარა-მარაო
ბილწი ხარ თავკომბალაო

მამულო ჩემო სანატრელო
ვერააინ დაგდებს შენ ბრალს
ვერ გადაურჩი მტრებისა თვალსა
ბილწსა და ბოროტ ხალხსა

სოციალიზმი

აწყობილი ქვეყანა დაიშალა
მომრავლდა მიტოვებული სახლები
შეჩერდა ქართველთა სიმრავლე
აღარსად ისმის ის ტკბილი ხმები

სკოლებში სემცირდა ბავსვები
დარჩნენ სოფელში ხნოვანნი
გადაბერებულებიც არიან
დასანიშნ-გასათხოვარნი

ხალხი აქეთ-იქით გარბის
რომ ეკითხები რას შვრები

თავისუფლება ასე სჯობს
ჩვენ არ გვჭირდება ბავშვები

ოღონდ მუცელი გაიძღონ
მათთვის ყოფილა მთავარი
სულსაც გაყიდის ყოველთვის
არ უყვართ მათი მომავალი

ამის შემდეგა როგორ იქნება
არ გვეყოლება ჩვენ მომავალი
უნდა ვიფიქროთ სიმრავლეზედა
ერის სიცოცხლე არის მთავარი

წინათ სოფელი ყვაოდა
მშრომელი ხალხი გალობდა
ძლიერი იყო ოჯახი
მრავალი ბავშვი ხარობდა.

ლოთი

დათვრა დაკარგა ტვინი
გზაზე შემოხვდა ვირი
შემოვჯდები ჩემო ვირო
გეხვეწები არ იყვირო

ვირმა ლოთსა გაუგონა
მოეწონა ლოთის ჯდომა
უტვინოა ფიქრობს ვირი
ამიტომაც არა ვყვირი

ლოთს გაუგო გასაჭირი
მოეძალა მთვრალსა ძილი
მეტად ფრთხილად დადიოდა
გაგებული ჩვენი ვირი

ზოგიერთი არა ფიქრობს
დალევის დროს არის ჭირი
ასეტ კაცსა რა უთხარი
ვირი იყვეს მასზე ფრთხილი

მე ჯერ ასე არ მინახავს
ასე წყნარი ვირი
აკუნტდოს და გადმოაგდოს
გაუტეხოს ცხვირი

არ ხარ მართალი

დადიოდი მუდამ მთვრალი
მოიყვანე ცოლად ქალი
დაადევი ქალსა ბრალი
მოიხადე მართლის ვალი

შეირთევი მეორე ქალი
აგერია გზა და კვალი
ვერ ხედავდა შენი თვალი
გააცილე მეორე ქალი

მოიყვანე კიდევ ქალი
სულ გეძინა იყავ მთვრალი

ვერ ხედავდა შენი თვალი
დაგიჭირა ვირი ქმარი

მოდი გონზე ნუღარ დალევ
არა გნახო კიდევ მთვრალი
თუ ამას შენ არ გაიგებ
არ იქნები შენ მართალი

შერეკილი

არჩევნებზე გახდი გმირი
ხმა გაყიდე მიეც პირი
ჩუმად იყავ არ იყვირო
ფულის გამო შესყიდულო

მომავლისთვის არა ფიქრობ
ხომ გაიგე შერეკილო
იყავ სპილო გახდი მწერი
ხალხმა იცის რომ ხარ შტერი

ფულის გამო უნდა ემსახურო
შენი ბრალია არვის დაემდურო
იცოდე სინდის გაწყვეტილო
ტკბილად ვეღარ დაიძინო

ამის შემდეგ მოგინდება
ბალახი მოგიტანო მოგიშვირო
ფეხსაცმლის ძირო, იატაკის ტილო
გაიგევი სპილო მართლა შერეკილო

ქვევრები

რა გეშველებათ ძმებო და დებო
ზოგი ერთა თავახდილი ქვევრები
ერთი კაცის ნათქვამ ზრახვებსო
რასაც ჩაგძახებთ იმა ამოსძახებთო

გინდათ სახლი ბევრი ფული
გიწობთ გქონდეთ სუფთა გული
თქვენთვის გახდა მეტად რთული
რომ დაკარგეთ სიყვარული

სასახლეები ათასი რამე და მანქანები
მიისაკუთრეთ რატომა შვრებით
ამ ქვეყანაზე თქვენა ხართ ერთი
პასუხსა მოგთხოვთ მაღალი ღმერთი

აღიარება

სულ პირველად დავაშავე
გავიხსენე საქმე ძველი
საქმეს ვეღარ გავუძეხი
ოცნებაა მეტად ჭრელი

დავიცავი საქმე თქვენი
გეშინოდეთ მუდამ ჩემი
დამაცადეთ ეხლა ვნახოთ
მინდა ყველას დაგანახოთ

ჩემი საქმე რომ არ წახდეს
ნადირობას მივყო ხელი
ეხლა მე მსურს დავიწირო
მელა ტურა დათვი მგელი

გაიგევით რატომ ვშვრები
ღამიანად ფეხზე ვდგები
მესმის უკვე ცუდი ხმები
ჯავრისაგან ვერა ვცხრები

ვაჟკაცურად მოიქეცი

ვაჟკაცურად მოიქეცი
ნუ იქნები ბნელი
ადამიანად დაიბადე
ნუ ხარ საქონელი

ახლობლისა იყავ მცველი
ჩაჭიდევი ორთავ ხელი
მეგობარი არ დაკარგო
არც ახალი არცა ძველი

მეგობარსა პირში უთხარ
რატომ ხარ მლიქვნელი
სიმართლე უნდა უთხრა
რაც კი გაქვს სათქმელი

სჯობს ყველა მეგობართან
მეგობრობა გქონდეს ძმური
ეს იცოდე რა კარგია
რომ არსებობს სიყვარული

ბრიყვი

არსებობს ბევრი ბრიყვი
ამათზედა მართლა ვიტყვი
ბრიყვის ნაშრომს ჭამს ჭკვიანი
მისთვის არის დღე მზიანი

ბრიყვსა ჭკუა რომ არა აქვს
რატომ წვალობს რისთვისა
მას თავში არა უყრია
მხოლოდ შრომობს სხვისთვისა

სიცოცხლე ისე გაფრინდება
ამ ქვეყანას ვერას იტყვის
მაინც ვერაფერს გაიგებს
ასე იქნება საქმე ბრიყვის

ბრიყვისთვის დღეც კი ბნელია
დაბადებიდან არის, ასე სჩვევია
შეხედავ მას გებრალება
მას კი არაფრის სცხვენია

ლოთი ქვრივი

ახალგაზრდა ლოთი ქვრივი
დღეები აქვს დათვლილი
ახალაგზრდას ცოლი-შვილი
სასმელებში ყავს გაცვლილი

ახალგაზრდა სოფლის ბატო
სულ იქნები მარტოდ-მარტო
სასმელები უნდა ყლაპო
შუბლზე ბოთლი დაგახატო

მშობლების ნაშრომს სჭამდი
დღე და ღამე მუდმივ სვამდი
შე ურცხვო და შე ღატაკო
გაიგევი შე ფარჩაკო

თავს რად იკლავ რისთვის
სასმელები მადლობას გიხდის
ბევრი ახალგაზრდა წავიდა
ბევრი კიდევ მიდის

ღორი

ღორი ვნახე გაოფლილი
ეფარება ხისა ჩრდილსა
პანტით იყო გამაძღარი
არ იცოდა თუა სხვისა

აქეთ-იქით მიიხედა
გადაგორდა ხისა ძირსა
ადგა ბოლოს და წავიდა
ილაფავა გუბის პირსა

შემდეგ გათხვრილი წამოდგა
მიუშვირა ტანი მზესა
ისევ საჭმელი მოუნდა
აჰყვა თავაღმა ტყესა

ასეა ღორის ცხოვრება
ღორმუცელობას არ იშლის
მისთვისა მხოლოდ ჭამაა
ღორი-ღორობას დაიშლის

ტყვილების გუდა

ტყვილების გუდა ქლესია
შენზედა დავწერე ლექსია
ამ ლექშია შენ იქნები
ცრუპენტელა და მლიქვნელი

ტყვილებითა ბევრი ცხოვრობს
დაუფიქრდი შენცა სცდები
რატომ არ იცი სირცხვილი
მოტყუებას ნუღარ შვრები

ტოლ-ბიიჭებთან არა დგები
უფროსებთან მუდამ ჩნდები
ტყვილები აღარა ტქვა
რამდენს ამბობ ვერა ძღები

გთხოვ ძალიან გეხვეწები
არ შეცვალო დიდი მთები
ტყვილებს თავი დაანებე
რატომა ხარ შენა ყბედი

მიმარისა ყვავილო

მარტო მქონდეს შენი მზერა
ამისათვის მე ვიქნები სანთებელა
თუ გექნება კარგი სმენა
იტყვის კარგსა თქვენზე ყველა

შენა გქონია ტკბილი საუბარი
ეცადე დატოვო კეთილი კვალი
ნამდვილადა გაქვს ლამაზი თვალი
ისე კი მომხვდა მე ნაპერწკალი

მინდა სიყვარული გქონდეს სულში
უცბათ არ გაცვალო შეინახე გულში
ლურჯ ცხოვრებაში ვიყავ ბედკრული
იმ სიყვარულში ვარ დაჩაგრული

ჩემთვის გახდი მეტად თბილი
ეს იცოდე არ მაქვს ძილი
მართალია სიყვარული არის ტკბილი
იმ სიყვარულში ხარ შემკობილი

გულით იყავი მუდამ მზიანი
უშენობით ვარ თვალცრემლიანი
ლამაზი ხარ გაზაფხულისა ვარდი
იმისათვის მომეწონე და შემიყვარდი

ერთი მე ვიცი ხარ მოქარგული
რით დაგიმტკიცო მე სიყვარული
თორემ წახდება ეს ჩემი გული
ისევ დავრჩები მე ბედით კრული

არასდროს არ გაიტეხო გული
რადგან იქნები შენ მხიარული
ის გზა იქნება სწორი სავალი
სადაც იქნება ჩვენთვის მთავარი

საოცარია ვერა ვხედავდა ყვეა
იმ ცისკიდეზე ხარ ცისარტყელა
ხომ გაიგე მე თუ შემიბრალებდი
ათჯერ მეტად თავსა განაცვალებდი

როდის დააწყნარებ ჩემსა გულსა
უშენობით იცოდე შენთვის სწუხსა
ლოდინს დაგიწყებ ვიქნე მართალი
იყვეს ჩვენთვისა ღვთის სამართალი

რა სჯობს

ცხოვრებაში არა ხარ მცდარი
ბედმა გარგუნა ოჯახის ქალი
ყველაფერსა სჯობს რომ დაოჯახდი
მრავალშვილისა მშობელი გახდი

კარგადა იცი ოჯახის ვალი
მუდმივ გექნება ოჯახი მყარი
სახლსა აშენებთ გაქვთ ერთი პირი
მეტწილად შრომობთ ნაკლები ძილი

დაუფასებელია ეგ თქვენი შრომა
მრავალი შვილის აღზრდა და მოვლა
დაიზრდებიან დააფასებენ თქვენსა შრომასა
რა სჯობია მაშინ შვილებთან დგომასა

ზოგსა მშობელსა არ უსმენს შვილი
მისთვის ყოფილა კედელსა ჩხირი
ჰქონდეს გულშია შენ სიყვარული
ისე იცხოვრო არ დაგწყდეს გული

ჩემი გულის ვარდო

ჩემი გული შენი გული
სიყვარულში გახვეული
გახსენ გული სიყვარული
საიდუმლოდ შენახული

გაგაჩნია თბილი გული
არის ჩემი სიხარული
მეგობრული და ერთგული
მშრომელი და ვაჟკაცური

მებრალები ჩემო ვარდო
არასოდეს არ იდარდო
მიხედევი შენსა თავსო
ძნელია რომ ხარ მარტო

ჩემი გულის ვარდო
მოდი ნუ გამებუტები
არ დაგტოვებ მარტო
მოვალ და ჩაგეხუტები

თავახდილი

ხარაზების სადილზე სტუმრობა ურჩევნია
მას აქეთ, მას დღე არ გაუცდენია
მოდიოდა ის ვაჟკაცი ტანიანი თავახდილი
მხრები განიერი ჰქონდა დადიოდა თავდახრილი

შეწუხდნენ ხარაზები მისი მუდმივ სტუმრობითა
დაინახეს კიდევ მოდის,
სტუმარს დახვდნენ ტაოტით
პურზე წასმული ტაოტი მიუთითეს პავიდლო
აიღო ჭამა დაიწყო უკვე სადილისა დროა

უნდა მოგითხროთ ამბავი სახელად ტიგრანია
პურზე წასმული ტაოტი მარტოკა უჭამია
ჭამის შემდეგ, გამოთქვა უგემოა და მჟავეა
ისე გაფრინდა სტუმარი ველარ მოვკარი თვალია

სტუმარი ორი დღე იწვა გადარჩა ცოცხალია
ხარაზებმა მოიხადეს ასეთი სტუმრის ვალია
მას შემდეგ აღარ მოსულა აღარა ჰქონდა თავია
აბა მითხარით მკითხველო მათ შორის ვისი ბრალია

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

არჩევნები, არჩევნები
დილით ადრე ისმის ხმები
ქოცებისა და ნაცების შესყიდული
ზოგიერთა ყურმოჭრილი ბულდოგები

ამომრჩევლებს ცალკე სთხოვენ
დაამატონ მათაც ხმები
ხომ მიიღეთ თქვენ ფულები
შემოხაზეთ ეს ნომერი

დამკვირვებელი მრავალი იყო
აწეწილი ჰქონდათ თმები
ძაჩილაობდნენ ვინ აჯობებს
ქოცებს, ნაცებს მისცენ ხმები

ყოველ მხრიდან ყველა მოდის
არ ყოფილა მხოლოდ მკვდრები
არჩევნები ხომ დამთავრდა
გაყალბება იყო ხმების

ხელმეორედ საჭიროა არჩევნები
კომისია მთლად ახლები
ქვეყნისათვის ეროვნულ ხალხს
პატრიოტებს მისცენ ხმები

უკრაინის მოქალაქე

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

უკრაინიდან გამოიპარა
ტრაილერში გადამალული
საქართველოში შემოიპარა
ცეკვა მოუნდა დავლური

საქართველოში ბათუმში ვარო
ამით გზა-კვალი წაშალა
ელოდნენ მას საყვარლები
ზოგმა ლოგინი გაშალა

მთელი ღამე ელოდნენ
მიშა შემოაღებს კარებსა
ბევრი ქალი ფიქრობდა
მასთან გაათევს ღამესა

რომ არ გამოჩნდა მიშიკო
უშიშროებას ჰკითხესა
მიშა გაუბამთ მახეში
ჩაუსვამთ რუსთავს ციხესა

ნაცებმა არჩევნები წააგეს
ოცნებას დაუწყეს დავები
მიშა გაუშვით ციხიდან
ამას ითხოვენ ქალებიც

გამოგაცოცხლათ ოცნებამ
ოცნებას ებრძვით ნაცები
მთავრობა ხელში ჩაიგდოთ
ყვირიხართ არა კაცები

ოცნება ვეღარ უძღვება
მათ დაკარგეს რჯულია
ვერ შეასრილეს პიროპბა
ფართხალებს განწირულია

დანაშაული გაქვთ ნაცებო
ვეღარ მოხვალთ მთავრობაში
სინდის-ნამუსი დაკარგეთ
როგორ გამოდიხართ ხალხში

დაბრუნება გსურთ ნაცებო
დარბიხართ მუდმივ ქუჩებში
კანონი რომ კანონობდეს
შემორტყმა გინდათ ტუჩებში

მზის თვალო

გამოანათე მზის თვალო
გული მეც გამხიარეო
საიდუმლო იქნება ჩვენშია
გენაცვალე გულ-მკერდშია

ჩემთან იყავი ყოველთვის
მოდი დამიდექ გვერდშია
დაფიქრდი რას გეუბნები
იქნები კარგ ბედშია

დროებითა ვართ ჩვენა
გაიგევი რაც გითხარი
დაგელოდები რას მეტყვი
პასუხი გამეც მითხარი

ჩემთვის მუდამ კარგი ხარ
ჩემ თვალწინ დადიხარ
მართლა ჩემთვის ვარდი ხარ
ჩემი თანამგზავრი ხარ

ობობა და ბუზი

ზოგი ქალი ობობაა
კაცი კიდევ ბუზის
ქალი კაცზე ეშმაკია
კაცი ქსელში უზის

ჩანდა ქალი თბილი
კაცი კიდევ რბილი
ქალი დააჯდა თავზე
ამოსწოვა ტვინი

ახალგაზრდა კაცი
ცნობილი და ტიტული
ქალმა ისე გამოხრა
დარჩა მხოლოდ ფიტული

დაიხსომეთ ეს ამბავი
ობობა ქალი ქსელშია
უნდა გესმოდეთ ყველასა
არ ჩაუვარდეთ ხელშია

წერა

დღვინო არაყი დალია
სასმელმა გადარია
გომარეთიდან წამოვიდა
გააკეთა ავარია

წაიყვანეს მარნეულში
მისთვის იყო ზარალია
მარცხენა ფეხი ჩაემსხვრა
ეხლა დარბის მთავარია

სიბერე არ ემჩნევა
წლოვანებით დიდია
მომავალ ახალგაზრდებს
ფეხებზე ათვის ჰკიდია

იფიქრონ ახალგაზრდებმა
მატი ცოდვა დიდია
თვითონაც დაბერდებიან
მე კი ვიქნები ხიდია

კუნტრუშა

აქაც ბევრი იჭენავე
დღე და ღამე დარბიხარ
ლაგამი მთლად მოიცილე
საზღვარგარეთ გარბიხარ

გირჩევნია სახლს მიხედო
რით ხარ მეტი სხვაზე
აქ ხომ ბევრი იჭენავე
ქმარს აჯექი თავზე

საზღვარგარეთ გაფრინდები
ფული მოგაქვს მოფრინდები
გინდა ლაგამი გაიძრო
ოღონდ მუცელი გაიძღო

შემოიარე ქვეყნები
თურქული სამოსი გაცვია
ერდოღანამდე მიხვედი
იძახი კარგი კაცია

ბევრი ირბინე ამქვეყნად
მაგრა მოღალე ჯანია

სიბერისაკენ მიდიხარ
ეხლა აღარ გაქვს თავია

დაუფიქრებელი

დმანისის მხარეშია
ხალხი არის ჩინებული
ახალგაზრდებსა ჰკიდიათ
ხმლები გაშტრიხინებული

მუდმივადა იძახიან
საქმე არა მაქვსო
მუშაობა ეზარებათ
ასე მაინც თქვანო

ზოგიერთა არა ფიქრობს
მათი საქმე დიდია
ოჯახზე არა ფიქრობს
ხმლები ტყვილად ჰკიდია

სამუშაო ბევრია
ველ-მინდორსა გახედოს
ამავე დროს ახალგაზრდამ
თან ბავშვები აკეთოს

საჭიროა ყოველთვისა
მუსაობდეს ხმალი
ბავშვები მოამრავლოს
ეს არის მთავარი

მისჩვევია ახალგაზრდა
კანაფსა ჭამს ეწევა
ისე წავა ქვეყნიდანა
აბა ვის დაეწევა

სახელმწიფო ბავშვებზე
დახმარებას იძლევა
თვრამეტ წლამდე იცოდეს
ყოველთვისა იქნება

საქართველო ჩემო კარგო

საქართველო ჩემო კარგო! რამდენი გმირი გყოლია.
ნეტა ვინ დასთვლის იმ გმირებს,
დამთვლელი არა ჰყოლია.
ერთ სახელოვან ვაჟკაცზე, ბევრი რამ გამიგონია,
უყვარდა გულით სიმართლე და კარგი ძმობა ჰქონია.
ბავშვობაში ობლად იყო, რომ უჭრიდა ყველაფერი,
ცხვარ-ძროხაში დადიოდა და გაითქვა იქ სახელი.
მეზობლებში გაიზარდა, ბავშვი ბიჭი საყვარელი,
როდესაც წამოიზარდა, გახდა მაშინ სოფლის მცველი.
არ ეშინოდა არაფრის, გულით ერთგულა მაგარსა.
წელზე ეკრა, ატარებდა, ვერცხლისა ქამარ-ხანჯალსა.
მარჯვენა მხარეს ეკიდა, ყავისფერი მაუზერი,
დედას უტირებს ყველასა, თუ შემოვა სოფელს მტერი.
სახელი არ დაიკარგოს, პატივს სცემდა სიმართლესა,
იგი ცხოვრობდა ვაჟკაცი, სოფელ დიდსა გომარეთსა.
ლამაზი და ტანმაღალი, თეთრსახა, გულდარდიანი,

ძლიერი და კუნთმაგარი, გრძელ შავ ულვაშიანი.
შორი გზიდან მოფრინავდა, შეკაზმული ლურჯა ცხენი,
მაქსო მჭედლიძე ყოფილა, არის მისი გვარ-სახელი.
მეგობრებმა დაანათლეს, მეტსახელად თეთრი მგელი,
იჩქაროდა რომ ენახა, სონა ქალი საყვარელი.
სონა ლამაზო, თვალმარგალიტო, ლერწამტანისა,
მაქსოს უყვარხარ, მსგავსება ხარ სავსე მთვარისა.
შენ სილამაზემ მოაჯადოვა,
შეყვარებული მრავალი კაცი,
მაგრამ შენ გულმა, შეიყვარა მაქსო ვაჟკაცი.
ნატრობდნენ ქალიშვილები, მაქსოს საქმროდა ყოლასა,
ვინ არ გაყვება ცოლადა, ვაჟკაცსა სახელოვანსა.
ყველა მათგანი ფიქრობდა, მასთანა მქონდეს ბინაო,
ღმერთო, მომეცი მე ბედი, მის მკლავზე დამაძინაო.
ერთი კვირა არ ენახა, სონა ქალი სანატრელი,
საყვარელსა ატყობინებს, უნდა შეხვდეს თეთრი მგელი.
სონა ქალმა შეუთვალა, – შენ ნახვას ელის თვალია,
შენთან შეხვედრა მწყურია, მოვდივარ მომიხარია.
იმ საღამოს საყვარელსა, შეხვდა ჩვენი თეთრი მგელი,
მთელი ღამე გაათიეს, გადაწყვიტეს ყველაფერი.
მეორე დღეს ჩვენი მაქსო, დაპატიჟეს ქორწილშია,
იგი მიდის საქეიფოდ, სოფელსა მამულოთშია.
სამი მხედარი მოვიდა, შეიარაღებულნი გომარეთშია,
მაქსო იკითხეს და უთხრეს, რომ არის მამულოშია.
მათრახი შემოკრეს ცხენებსა, მივიდნენ მამულოშია,
მაქსო იკითხეს, შეიპატიჟეს, უარი თქვეს ქორწილშია.
უთხრეს მაქსოს, – სამი კაცი შეიარაღებულნი გეძახიანო
მაქსო იარაღს ატარებდა, ყველამ კარგად იციანო,
ქორწილიდან გამოსულსა, ესროლეს ასცდა მაქსოსაო,
მაქსომ პასუხად ესროლა, გულში მოხვდა მსროლელსაო.
რა დაინახეს ორივემ, ამხანაგი ცხენიდან ჩამოვარდაო,

ცხენები გააჭენეს, იფიქრეს გაქცევით უშველონ თავსაო.
მაქსო გაქანდა სასწრაფოდ, მოახტა მკვდრისა ცხენსაო,
უშიშრად გამოეკიდა, დედას უტირებს მტერსაო.
ცხენდაცხენ მისდევს ყაჩაღებს, ძალიან გაჯავრებული,
სროლითა მისდევს მინდვრებში, ბრძოლაა გაჩაღებული.
მაქსომ მეორე ყაჩაღი მოკლა, გზა აბნეული, ტიალი,
მესამე ცხენს მიაჭენებს, დაბნეულ-შეშინებული.
ცდილობს მალე მიაღწიოს სამშვიდობოს, მოკლე დროში.
სოფელს თავი შეაფაროს საჯაში ან ყიზლაჯლოში.
გომარეთის მხარეშია, ვერა ნახავთ ასეთ გმირსა,
მესამესაც დაეწია, ისიც მოკლა სოფლის პირსა.
სამ თავდამსხმელს გაუსწორდა, არ გაახარა მტერია,
დიდება და სახელი,
ვაჟკაცობა მაქსოსთვის ყველაფერია.
მაქსო ხალხისა მცველია, მტრებისა სისხლის მსმელია,
სოფლის ხალხსა შეუყვარდა ვაჟკაცი მაქსო ჩვენია.
გომარეთისა ახლოსა,
გერმანელები ინახავდნენ საქონელსა,
ყავდათ ცხვარი-ძროხა, ფლობდნენ სათიბ-საძოვრებსა.
გომარლებს მცირე მიწები ეკავათ,
არ ყოფნიდა სოფელსა,
და ამის გამო სოფელი, ქალაქს გზავნის საჩივრებსა.
გერმანელები გომარლებს ართმევდნენ
მუდმივად ცხვრებსა,
ჩვენი მაქსო გაიგებდა, საწყალ ხალხის საჩივრებსა.
მაქსო რაზმით გერმანელებს
ცხვარს სტაცებდა უფრო მეტსა,
ცხვრებს წართმეულს იმ დღიდანვე,
უბრუნებდა გომარლებსა.
გერმანელები ფიქრობენ საკითხი რომ არ გაფუჭდესა,
თავს დავესხათ გომარეთსა,

ამით სასჯელი დასრულდესა.
გერმანელები გომარლებს ვერ წავართმევთ ვერაფერსა,
მაქსო თუ არ დავიჭირეთ ის წაგვართმევს ყველაფერსა.
გაიგეს გერმანელების ჯარი მოდის,
გომარლების დასასჯელად,
მაქსომ სახელდახელოდ,
სოფელი დარაზმა დასახვედრად.
ხალხმა მზადება დაიწყო, ხელში იღებს იარაღსაო,
მაქსო ბიჭმა შეუთვალა – არ გაბედოთ თავდასხმაო,
მეფის კაპრალო ტიულიმე, როგორ მოიყვან ჯარსაო.
სოფელში არ შემოგიშვებთ, ჩვენ კი დავიცავთ თავსაო,
პარტიზანულ ომს დაგიწყებთ,
ვერაფერს უზამთ ხალხსაო.
სოფლიდან ცოცხლები ვერ გახვალთ და
დაგიხოცავთ ჯარსაო,
ტიულიმემ ვერ გაბედა, ხელი აიღო განზრახვაზედა.
მაქსო მეგობრებთან ერთად საქეიფოდ მიდის ტბაზედა,
აბა მითხარით ვაჟკაცი, რითაა ნაკლები სხვაზედა.
ცოცხალი კაცი იცოდეთ, არვის დაისვამს თავზედა,
სუყველა პატივსა სცემდა, სადაც მიდის თეთრი მგელი.
თავის საქმით, ვაჟკაცობით, გაეზარდა მას სახელი,
გომარეთისა გარშემო ხალხისა მუდამ მცველია,
ცუდ კაცსა დედა უტირა, არ გაახარა მტერია.
დღეობა იყო კალოზე, სოფელ – დიდსა გომარეთსა.
ქეიფობდა სოფლის ხალხი, ახსენებდა მაღლა ღმერთსა,
სასმისებით იხსენებდნენ ყველა წასულ წინაპრებსა.
ბევრ სადღეგრძელოს ამბობდნენ,
დალოცავდნენ ერთმანეთსა,
ზურნა დუდუკი უკრავდა, დღე იყო მეტად ლამაზი.
ხალხი მღეროდა, ხარობდა, ცეკვი იყო და თამაში,
მაქსო მჭედლიძე გამოდის, საცეკვაოდ მოედანზე.

გაეხარდათ, დაიძახეს ტაში-ტაში მაღალ ხმაზე,
ცეკვავდა და აცეკვებდა სონას
გარს უვლიდა, ეფერებოდა.
ლამაზ დახატულ ქალწულზე,
სიყვარულით ვერა ძრებოდა,
მოვიდა შაქრო მამასახლისი, ხალხისთვის იყო ჭირია.
ჩაფრებს გასძახა, მაქსო ტრიალებს ვითომ გმირია,
რომ დაინახა შაქრომა ცეკვავდა ლამაზი სონაო
თქვა არ გაუშვებ ასეთ ქალს მომხიბვლელი რომაო
დავითმა გასძახა ვინ გაგხდის მაგის ღირსაო
ჩაფრებმა ცემა დაუწყეს და ჩხუბი წარმოიშვაო.
ვიღაცამ დაიძახა დავითს სცემენ დავით სცემენ
მიეშველნენ დავითს ქომაგები, აირია მთლად სოფელი.
შაქრომ ბრძანა დაშლილიყვნენ დაუქნია ხალხსა ხელი
ბრძანება არ შეასრულა წინ დაუდგა თეთრი მგელი.
მამასახლისმა უთხრა თეთრმგელს შენ არ გესმის,
ქუჩის ძაღლივით რომ გაგსიებია ეგ ცხვირპირი
თეთრმგელმა უთხრა იცოდე ჭკუაზე მოდი თორემა
აქვე აგიგებ ანდერძსა შენა ხარ სოფლის ჭირი
მამასახლისი გაბრაზდა უჭირავს ხელთ მაუზერი
ახლოს მიდის მკერდსა უშვერს უშიშრადა თეთრი მგელი.
მე ვერ მომასწრებ იცოდე არ გაანძრიო ხელია
მამასახლისს შეეშინდა სახე გაუხდა მიწისფერია.
შიშისაგან მამასახლის აერია გზა და კვალი
განზე გადგა ახლა კიდევ, მან დააძრო ხანჯალი.
დაუძახა თუ ბიჭი ხარ, გაბედე და მოდი ახლოსა
მოვალ და შემომაკვდები ვაი შენს პატრონსა.
მამასახლისმა ხანჯალი ჩააგო გაიფიქრა როგორ ბედავსო
ჩიბუხი გააბოლა ჩუმად დაემუქრა გიტირებ დედასო
მამასახლისსა ხალხზედა ცუდი მოპყრობით რაუნდა
ვერ შეაშინებს მაქსოსა ამაზე რაღა თქმა უნდა

მამასახლისმა მიმართა ხალხს,ქვეყანა მე მაბარია
სოფელმა გაარჩიოს ჩვენ შორის რომელი მართალია.
მე დიდი ადამიანი, გლეხს გაუყადრებ თავსო
იმას არ უფიქრდება ურჩობას როგორ მიბედავო.
კიდევ ერთხელ დაემუქრა, რომ დამამცირე დღესაო
ჩემთან ასე არ გაგივა, რომ სჯობიხარ სხვებსაო.
ბოლოსა თქვა ციხეში არ გაუშვი თავზე გავიდაო
დაბოღმილ გამწარებული მამასახლისი სახლში წავიდაო.
ერთ დილასა გერმანელების ჯარი შემოვიდა გომარეთში
გრაფი ტიულიმე მოუძღოდა, გაჩერდა შუა სოფელში
ცხენიდან არ ჩამოსულა ყავდა მოადგილე კრაუცერი
ხალხი ახმაურდა თავდაცვისათვის ემზადებოდა სოფელი.
გრაფმა უთხრა მოადგილე კრაუცერსა ცუდია ეს ადგილი
თუ წინააღმდეგობა გავიწიეს ეს არ იქნება ადვილი
გრაფმა ხალხსა გადასძახა მამასახლისი იკითხა.
ხალხი აფრინეს დასაძახებლად მამასახლისი მივიდა.
მამასახლისი მიესალმა, უხერხულად იგრძნო თავი,
გრაფმა თავი დაუკრა და გაუსწორა მას თვალი.
შაქრომ მაშინვე გაიფიქრა, – მიზეზია თეთრი მგელი,
რომელი საქმისთვის მოვიდნენ, ახალია თუა ძველი.
კრაუცერმა თითი დაუქნია, იცი რისთვის მოვედით,
წამოყვანილ ცხვრების,
სასწრაფოდ დაბრუნებას მოველით.
შაქრომ უთხრა კრაუცერსა, რა ცხვარი, არაფერი ვიცი,
როგორ, მოტაცებული ცხვარი მამასახლისმა არ იცი?
ბრძანება და რაზმისაკენ გაიხედა,
პასუხი გაგვეცი...
სოფლის მამასახლისო, ცხვრები ახლავე მოგვეცი,
მე ნუ მეუბნებით, მოსთხოვეთ იმას ვინც მოიტაცა.
მერე რატომ არ იძახი, გვითხარით ვინ მოიტაცა,
მამასახლისმა ხალხს მიმართა: – აქ არის ძაღლიშვილი.

ხალხმა დაიძახა: – სოფელში არ არის კარგი კაციშვილი,
რა ბაზრობა გამართეთ, უთხრა მამასახლისს გრაფმა.
მაშინ უთხრა, წამოდით და ერთად ვნახოთ, ხალხმა
ვინც ცხვრები მოგტაცა, ეხლა მოსულა სახლშია,
მიდით და პასუხი მოსთხოვეთ, ესა თქვა ხალხშია.
მამასახლისს გაყვა გრაფი,
მოადგილე კრაუცერი და ჯარი.
სოფელი ფეხზე იდგა, ზოგს თოფი ეჭირა,
ზოგს ხანჯალი.
ორღობე ხალხით გაივსო, ყველა მამასახლის აგინებდა,
ხალხი მხოლოდ მაქსოს, აქებდა კაცობაში ადიდებდა.
რაზმმა ორღობიდან მარცხნივ გაუხვია და გაჩერდა.
მამასახლის შაქროს ამ დროს,
გულის კანკალი დასჩემდა,
მამასახლისმა მაქსოს სახლი ანიშნა, მიახედა კრაუცერი.
ამ სახლის პატრონმა გაიტაცა თქვენი ცხვრები,
კრაუცერმა უთხრა, ერთი მოერია იმდენ ცხვარსა.
დაუჯერებელია, ოცამდე კაცი დაედევნა
მარტო იცავდა თავსა,
ახლა გრაფი მიუბრუნდა მამასახლისს თქვა და აღიარა,
თქვენ პასუხს აგებთ, თუ დღეს სისხლი დაიღვარა.
გრაფმა გაიხედა სახლისკენ, თავგანწირვა სიკვდილია,
ისე ერთი კაცისათვის, ასეულისათვის კი სირცხვილია.
დრო არ იცდის, რამე უნდა ვიღონოთ,
ამბობს კრაუცერი,
შაქრომ უთხრა, მიდით ახლოს, არ მოხდება არაფერი.
მამასახლისს ეშინოდა და სცადა ხალხში შემალულიყო.
ხალხი მიუხვდა ეშმაკობასა,
გზა არ დაუთმეს დამალულიყო,
გრაფმა უთხრა, კაცს არ ვიცნობ,
გარბიხარ მამასახლისო,

პასუხისმგებლობას თავიდან იცილებ, არაფრის მაქნისო,
კრაუცერმა თქვა, არ მოვსულვართ სამტროდ დღესა,
მოგვეცით ჩვენი ცხვრები, ამით მოვრჩეთ ყველაფერსა.
სოფლის თავი უარს ამბობს, მართლა საკვირველია,
გრაფმა იარაღზე ხელი წაიღო, თავი მოგბეზრებია.
რომ ამბობ, სოფლის თავი არ ვიცი არაფერია,
აგერ სახლი, იქ იღონეთ, რაც გინდათ ყველაფერია.
გრაფი უნაგირზე შეტრიალდა,
ცალკე ფიქრობს კრაუცერი,
აგრძნობინა შეხე შაქროს, აუღია ხალხზე ხელი.
მამასახლისი სოფლის ამბავს არ ვიციო სირცხვილია,
უმოქმედო, შეიარაღებული ასეული
გრაფისათვის სიკვდილია.
ამის გამო, ასეულო, შესძახა გრაფმა გაჯავრებულმა,
ჯარმა გრაფს მოუსმინა, საბრძოლოდ გამზადებულმა,
ვინც არ დაგემორჩილოთ,
შეკარით არ იხმაროთ იარაღია.
დამნაშავე თეთრი მგელი დავაკავოთ,
ეს იქნება მთავარია.
უცებ გაჩნდა სიმონ სალარიძე, ეუბნება გერმანელსა,
რა უფლებით შემოხვედით ამ ჩვენ სოფელ გომარეთსა?
ორმოცი წლის მამაკაცმა სოფელს დაუჭირა მხარი,
უკან წავალთ, დაგვიბრუნეთ წართმეული ჩვენი ცხვარი.
სოფელმა რომ დაინახა სიმონაა სოფლის მცველი,
ხალხსა ძლიერ გაუხარდა,
სიმონისა ვაჟკაცური საქციელი.
ტიულიმემ ცხენს დეზი კრა, არ უსმენს სალარიძესა,
წრე შეკარით სასწრაფოდა, უბრძანა ჯარის ბიჭებსა.
მაქსო ბიჭი არ გამოდის, ტიულიმემ დაუძახა სამჯერაო,
მამასახლისი ჩაერია, მაქსო გამოდი თუ კაცი ხარო,
სალარიძემ გერმანელებს ვერ შეასმინა ვერაფერი.

ხალხს დაუწყო დარიგება, უსისხლოდ იყვეს ყველაფერი,
მაქსო შენ თავს დააბრალე, არ გამოხვალ გარეთაო.
გრაფმა ისროლა დამბაჩა, ეხლა გიტირებ დედასაო,
საპასუხოდ თოფმა იჭექა,
იყო გრაფისათვის საკვირველი.
ხელი აეღოთ განზრახვაზედა,
აფრთხილებდა თეთრი მგელი,
გრაფი თოფის გავარდნაზე, მაგრად იჯდა ცხენზედაო,
უბრძანა, სახლი გადაწვან, რომ აღარ იყო ფერზედაო.
თივას ცეცხლი წაუკიდეს, მეორედ თოფი გავარდაო,
ცეცხლის წამკიდებელი ჯარისკაცი, მიწაზე დავარდაო.
გრაფმა ბრძანა ცეცხლი გაეხსნათ, იყო გამწარებული,
ერთი თოფის წინააღმდეგ,
ასეული დაიძრა შეიარაღებული.
თეთრ მგლის ნასროლმა თოფმა,
ოთხს გამოუტანა სიკვდილი,
ეს იყო გრაფ ტიულიმეს თავის მოჭრა და სირცხვილი.
სიმონი ხალხ აწყნარებდა, იცოდეთ სისხლი დაიღვრებაო,
ოცი თოფითა სოფელი, ჯართანა ვერაფერს გახდებაო.
სიმონმა დრო მონახა მაქსოსთან შევარდა ყვირილითა,
მაქსო და სიმონა უცბად, გაქრნენ ნიავქარივითა.
გერმანელები სახლში შევიდნენ,
ვერაფერი ნახეს, გაძარცვეს,
თეთრი მგლისა და სიმონის სახლები ერთად გადაწვეს.
ამით ისარგებლა მამასახლისმა, მთავრობა დაარწმუნა,
ჯარის ნაწილები მოიწვია, გლეხების დასჯა დაასრულა.
მამასახლისს გულში ჰქონდა
გაუსწორდეს თეთრსა მგელსა,
დროს იპოვის ამოიყრის ძველ ჯავრსა და საქციელსა.
მთავრობამ დევნა დაუწყო, სალარიძეს და თეთრ მგელსა
და ამის გამო თეთრმგელმა, თავი შეაფარა ტყესა.

ერთ დილასა ტყის პირასა, გამოჩნდა სამი მხედარი,
მაქსო ორ მიხოსთან ერთად, გადიარეს მათ ზეგანი.
ამ დროს უცებ ხმა მოესმათ... ამოეფარნენ ხესა,
პალე ბიჭი წისქვილიდან მოდიოდა, მოუძღოდა ცხენსა.
პალე დამხდურებს მიესალმა,
მაქსომ უთხრა როგორ ხარო,
არა მიჭირს უთხრა პალემ,
შენ კი მწყინს რომ აქა ხარო.
პალე იყო ფიდოს ძმა, თეთრი მგლისა ბიძაშვილი.
ფიდო ფიქრობს და სწყურია თეთრი მგლისა სიკვდილი,
მაქსომ უთხრა პალეს, ის არჯალი რას შვრებაო,
ჩემდამი თუ არ მოინანიებს, იცოდე, რომ წახდებაო.
მაქსოს მიერ დამუქრებამ, პალე მთლად გააოცაო,
პალემ უთხრა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია და მორჩაო.
მაქსომ გააგრძელა ფიდოს მიმართ სიტყვიერი შეგონება
და იძახის სხვების მიერ არ მჭირდება დარიგება.
პალემ უთხრა, ნუ იგინები ბავშვი ხომ არა ვარო,
ეს იცოდე ბალღო, არც თუ დიდი ვინმე ხარო.
პალემ უთხრა, არ გეწყინოს დამეჭიდე, გაუწოდა ხელი,
მაქსოსათვის ამისი თქმა იყო მისთვის საკვირველი.
უთხრა პალეს, მართალს ამბობ, პალეს არ ეღიმებოდა,
მაქსო ჩავარდა ფიქრებში, მისთავს რაღაცა ხდებოდა.
გულადი ხარ ბიძაშვილო, მაქსომ შეიხსნა იარაღი,
შეეჭიდნენ ერთმანეთსა, ფეხქვეშა თელეს ბალახი.
მაქსოს ბევრი ვაჟკაცი გაუკრავს ბეჭით მიწაზე,
არც ერთი დამარცხება არ ყოფილა მის თავზე.
მაქსო მეტად გადაღლილი, და არ იყო ხასიათზე,
ჯარმოვლილ პალემ რის ყოფით, მაქსო წააქცია მიწაზე.
მხრებზე დააწვა და უთხრა, ეხლაც იტყვი ბალღი ხარო,
მაქსომ წამოდგომა დააპირა,
პალემ არ გაუშვა ესა ხარო?

მაქსომ შავმიხოს თვალი უყო მომაცილეო,
მაქსოს ნათქვამი მიხოსა ეგონა, ესროლე დააძინეო.
მიხომ პალეს თოფი დასცა, გამოუტანა სიკვდილი,
ეს იყო უცაბედადა, კაცისთვის მეტად სირცხვილი.
პალე მიწას მოეხვია, უცბად მოხდა ყველაფერი,
ეს რა ჰქენი შე დამპალო, წამოვარდა თეთრი მგელი,
ხანჯალს ეცა მოუქნია, მიხო დასჭრა ხელშია,
მსუბუქად იყო დაჭრილი, გაიქცა შევარდა ტყეშია.
მაქსომ ტირილით თავი მოიკლა, ეს რა მომივიდაო.
მიხო ხომ ვერ მოვკალი, ხელიდან როგორ წამივიდაო,
რომ გაიგეს მკვლელობის ამბავი, ხალხმა, სოფელმაო,
მაშინა თქვეს, ფიდოს ჯავრი პალეზე იყარაო.
სოფელმა მალე შეიძულა ჩვენი მაქსო საყვარელი,
მამასახლისს გაეხარდა, აუჯანყა მთლად სოფელი.
ამისათვის რაზმი შექმნა,
პალეს მკვლელზე გამწარებული.
მაქსოს მოცილებას ფიქრობდა,
მამასახლისი გაჯავრებული.
მაქსო პავლეს მკვლელობაში დამნაშავე რომ არ იყო,
განაწყენებული ხალხის გული,
ნაწილობრივ დამცხრალიყო.
მაქსო დიდხანს არა ჩანდა, საქმე ჰქონია ბორჩალოშია.
მშრომელებს უჯანყებს მთავრობას და არის ძმობაშია.
ერთ კვირაში მაქსო მოდის, სიმონისა სახლშია,
სიმონ საქმე კარგადაა, ჩვენ ვართ მათთან ვალშია.
აჯანყებული ჩვენი ხალხი ვნახე, სოფლებიცა მოვიარე,
გიორგი იარაღს მოგვცემს, ამბავიცა მოგიტანე.
შეგვპირდა ორასამდე თოფს მოგვცემს,
ორმოც დამბაჩასო,
იარაღთან ერთად გამოვგზავნი ტყვიასა და წამალსაო.
ჩემო მაქსო რა კარგია, გამახარე, ეხლა დაჰკარი ხელია,

ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, ეს ჩვენთვის ყველაფერია.
მაქსომ პარკი გახსნა, ამოიღო ქათამი მოხარშული,
დოქით არაყი, წნილი, ახალი ყველი, ახალი პური,
ახლა მე გაგიმასპინძლდები, რა თქვი თავი მომეჭრებაო.
ღამეა, ვერავინ გაიგებს, მეგობები ვართ, რამოხდებაო,
ჩემო სიმონ, უნდა გკითხო, დიდხანს იყავ ირანშია?
ეხ ჩემო მაქსო, რვა წელი, პატარა ქალაქ რეშეთშია,
სამკითხველოში ბავშვმა მითხრა, იჭერენ მუჯახედსაო.
რომელსაც სიმართლე უყვარს და იცავს ღარიბებსაო,
ამის შემდეგ გადავწყვიტე, მენახა მუჯახედინი ვინ არი,
მცველმა შემიშვა,
იცოდა გუბერნატორთან ახლოს ვიყავი,
ვნახე კაცი ქართველია, უფროსს უკვე დაეპატიმრებინა.
სერგო ორჯონიკიძე იყო,
ვიფიქრე როგორმე გამეთავისუფლებინა.
სერგოს თურმე ნავსადგურში ხმა მოესმა ტირილისა,
მასთან ერთად ხმა ისმოდა, მემამულის ყვირილისა,
ჯალათები ყმას როზგავენ, მემამულე უყურებს თავადა,
საწყალი ყმის ბავშვები, ხმამაღლა ტირიან საცოდავადა,
ყმას როზგავენ ჯალათები,
ბატონი აივნიდან იყურებოდა,
ყმისა დასჯითა ბატონი, მისი ცქერითა ტკბებოდა.
შემზარავი ნახვის შემდეგ, სერგოს რევოლვერი უსვრია,
ჯალათები გაუყრია,
ყმა კაცი დაკიდებული, ჩამოუხსნია,
სერგომ ციმბირიდან გამოქცევით თავს უშველა,
ჩადის ბაქოში, ბოლშევიკების წევრი როგორც ყველა.
ირანში სერგოს აგზავნიან
ჯგუფის პოლიტიკურ ხელმძღვანელად,
რეშეტში ინტერნაციონალური ჯგუფი შექმნა ხელად.
სერგომ მითხრა, ჩემო სიმონ, სანამ ციხეს მომისჯიან,

ეხლა თუ არ მიშველე, მერე კი იქნება გვიან.
მაშინ უცხო ენებს ვასწავლიდი ბავშვებს გუბერნატორის,
სერგოს დავეხმარებოდი, იმედი მქონდა გუბერნატორის.
გუბერნატორმა ბრძანება გასცა, სასწრაფოდ მოეყვანათ,
გუბერნატორმა სერგო დაკითხა,
გადაწყვიტა ციხიდან გაეყვანათ.
ასე მოხდა ჩემო მაქსო,
სერგოს ციხიდან გათავისუფლება.
პისტოლეტი დაუბრუნა,
უბრძანა სასწრაფოდ ირანის დატოვება.
გუბერნატორმა თხოვნა შემისრულა,
ნაცნობობით ასე ხდება,
სერგო ციხეს გადაურჩა, სჯობდა ირანის დატოვება.
მაქსომ სიმონს უთხრა, კაცი ყოფილა მართალი,
ირანში ყმა დაიცვა, გული ჰქონია მაგარი.
ამ ქვეყნად ბევრს უცხოვრია, მოუვლია მთა-ბარი,
ჩვენი სიცოცხლე დროებითია, ვიცით მუდმივი არარის.
ასეა ჩემო სიმონა, დღესა ვარ ხვალ არ ვიქნები!
გულამღვრეული დავდივარ შორსაა ჩემი ფიქრები.
მხარი მხარს მივცეთ, სალარიძე ხალხში დამდგარიყო,
მოუწოდებდა გომარლებს,
რევოლუციის ძალა გამხდარიყო.
თოფ-იარაღი მოიტანეს, ტყვია-წამალი დარიგდა,
სალარიძის მიერ სწავლება, მითითება,
ერთრამედ ღირდა.
სალარიძეს რაც შეეძლო, ხალხს არიგებდა ამხნევებდა,
მაქსო კიდევ ვერ ითმენდა, თითქოს რაღაც აღელვებდა.
იყო სიფიცხით გამორჩეული, თავის თავსა აწვალებდა,
რომ გამოეტანა განაჩენი,
მჩაგვრელების სიმონს აჩქარებდა.
ხალხი გროვდება, მაქსოსა ყავდა მაგარი ძმობა.

ამ ხალხშიც იყო, გულში ედო მაქსოსი მტრობა,
მაქსო ფიქრობდა, ხალხში ყოფილიყო თანხმობა,
თუმცა იცოდა, ვის როგორი აქვს გულში განწყობა.
მამასახლისი ნასწავლი არ იყო, მთავრობა ეხმარებოდა,
სტრაჟნიკები მხარს უჭერდნენ,
ხალხს მუდმივად ედავებოდა.
ხალხი შეწუხდა ხმა აიმაღლა,
მამასახლისი შეფიქრიანდა,
ვერ მოზომა ხალხის ჩაგვრა, ნახტომი დააგვიანდა.
სიმონა ისე შევიდა პარტიაში, ვერაფერი გაუგესო,
იძახდნენ, სალარიძე გაიტყუეს და ანდერძი აუგესო.
არავინ იცოდა სიმონისაგან, მაქსომ გაიგო ყველაფერი,
თბილისიდან რაზმი მოდისო, დაიჭირონ თეთრი მგელი.
ვერ დაიჭირეს თეთრი მგელი,
რაზმი გაბრუნდა თბილისშია,
რაზმის უფროსმა, მამასახლისი დაპატიჟა თბილისშია.
ერთ საღამოს თეთრი მგელი ხვდება ბიჭებს ტკბილადა,
იმ საღამოს თეთრი მგელი,
სოფლიდან გადის ფრთხილადა,
თბილისში ღამით ნახავს
მამასახლისს ორთაჭალის ბაღშია,
მოქეიფე მეგობრებთან,
დოლგარმონზე ქეიფობდა ხალხშია.
ცოტა ხნის შემდეგ მამასახლისი სუფრიდან გამოვიდა,
დაინახა, თეთრი მგელი მისკენ რომ წამოვიდა,
თეთრმა მგელმა უთხრა,
მამასახლისო აგერ არის მოედანი,
გავუსწორდეთ ერთმანეთსა ვინ იქნება ჩვენში მკვდარი.
თეთრ მგელმა სძლია მამასახლისს,
მოკლა ორთაჭალის ბაღშია,
იმ ღამითვე წამოვიდა გომარეთში, დილით იყო სახლშია.

სახლიდანა დილით ხალხში გადის თეთრი მგელი,
მილიცია ბაღში ეძებს, რომ იპოვონ შაქროს მკვლელი.
ძიებითა, დაკითხვითა, ვერ გაიგეს ვერაფერი,
ძიება თაროზე დადეს, ამით დაიხურა ყველაფერი.
ხალხი შეგროვდა,
თეთრი მგელი ლხინის ხასიათზე დგება,
ბიჭებს დამკვრელები მოაყვანინა, ქეიფობს და თვრება.
აქეთ ცეკვაა ხალხისა, იქით გაიგებთ სიმღერებს,
მწვადი შეგიწვათ მაქსოჯან, სუყველა შენზე იმღერებს.
შუა დღე იყო გასული, გაისმა შაქრო მოკლესო,
წამოიძახეს, ახია მაგაზე, დედა ვერ უტირესო?
ეხლაც იპარპაშოს სოფელში, უღირსი დაუნდობელი,
აღარ ახსენოთ არასდროს, ჩვენი ხალხისა მგმობელი.
თეთრ მგელსა გაახსენდა,
მეგობრის სიმონის დარიგებაო,
ადამიანი ყოველთვის,
რაც დრო გადის ცვალებადი ხდებაო.
ზოგიერთი ცხოვრებაში წინ მიიწევს,
ყველაფერი გვარდება.
ზოგისათვის ცხოვრება ხანმოკლეა, უცაბედად თავდება.
ერთი გული რომ ინთება, მეორისა სამუდამოდ ქრებაო,
ანთებული გული კიდევ, დიდხანს მაინც არარჩებაო.
მაქსოს ყოველთვის ხალხისადმი ჰქონდა კარგი თვისება,
გულით პატივი ეცა და დაეცვა ადამიანის ღირსება.
ხალხის ერთი ნაწილი შაქროს მკვლელზე ბჭობდა,
ვის შეეძლო მისი მოკვლა,
ვისაც ძალა და გული ჰქონდა.
სოფლის წურბელა რომ მოეცილებინა,
რომელი გაბედავდა.
სოფელში გლეხებზე ბატონობდა,
მისი შემყურე დაბეჩავდა,

ვინ მოკლა შაქრო, წუხელ ღამეს მოუკლავთ ქალაქშია.
ხალხმა ნახა მაქსო, საღამოს და დილასაც სოფელშია,
არავის არაფერი არ უთქვამს, არ ყოფილა მნახველია.
ძმობა-ერთობას გაუმარჯოს, ხალხი არის მფარველია!
მთავრობამ მკვლელი ვერ იპოვა, საბუთები რომარაა.
კვალს ვერ მიაგნეს, სამძებრო მასალებმა ჩაიარა,
ჭირისუფალთათვის გამოძიება ცუდი, ამაო გამოდგა.
სინამდვილე მიწამ ჩაიტანა,
პატრონმა ვერაფერი გამოთქვა.
შვიდი წლის შემდეგ ცნობილი გახდა შაქროს მკვლელი,
შაქროს ახლობლებმა გაიგეს,
მაქსო ყოფილა მისი მტერი.
იფიქრეს სისხლის აღება ეხლაც არ არის გვიანი,
საიდუმლოდ მაქსოს მიმართ,
თადარიგი დაიჭირეს მტრიანი.
დათქმული სისხლის აღების საქმე დარჩა შესრულებული.
დრო გადიოდა, ნელდებოდა,
ბოლოს დაივიწყეს ყველაფერი.
ეს ცხოვრება ასეთია, რამდენ ხალხსა გაუვლია,
წუთისოფლის ცხოვრებიდან, ცოდვა ჯავრსა ჩაუვლია.
მღვდელმა ცხოვრების გზა დაულოცა,
ჯვრისწერა დამთავრებულია,
ახალგაზრდა ქალ-ვაჟი
სიყვარულით მეტად გახარებულია.
ჯვრისწერიდან მთელი ხალხი ეკლესიიდან გამოვიდა,
დოლ-გარმონი უკრავდა,
ახალგაზრდობა ცეკვაზე გადავიდა,
დედოფალს თეთრი კაბა ეცვა, მოქარგული მშვენიერი,
გვერდით ედგა ყმაწვილი, თეთრსახა და ნებიერი,
ნეფე-დედოფალს გაუმარჯოსო, გასძახოდა სარდიონი.
ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს,

გაუმარჯოსო, ყვიროდა მაყრიონი.
ერთმა ჯმუხმა მამაკაცმა, შუა წრემდე მოაღწია,
უცებ ეცა პატარძალსა, მკლავები მაგრა შემოხვია,
მაღლა აიტაცა, უთხრა შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეო,
შენს თავს არავის დაუთმობ, გახდები ჩემი მალეო.
პატარძალი აქვითინდა, მიხო ყოფილა პირსისხლიანი,
შეიქმნა მიწევ-მოწევა, მაყრების ხანჯლის ტრიალი,
პატარძალი ნებას არ აძლევდა,
მიხო კოცნითა თვრებოდა,
შეშინებული მაყრები, მასთან ვერაფერს ხდებოდა.
დაბნეული მეფე ფიქრობს, რა ხდება რა ამბავია,
მეფემ ქალი ვერ დაიცვა, მართლა ყოფილა მხდალია.
ხალხი სწყევლიდა, ყაჩაღო მიხო, პალეს მკვლელო,
არ გეღირსოს ქურდბაცაცავ, გადაშენდი ქვეყნის მეტრო.
მშიშარა მაყრები ხანჯლების
ტრიალით ვერაფერს ხდებოდა,
პატარძალი არ დაეჭრათ ფეხები უკან რჩებოდა,
მიხო ამით სარგებლობდა, ერთ ხელში ეჭირა დამბაჩა,
მეორეთი პატარძალი მიყავს, ჰაერში დამბაჩა გავარდა.
თავზე თმები გასწეწოდა, თვალებიდან ცეცხლსა ყრიდა,
იმუქრებოდა გზა მომეცით, არავის არაფრად თვლიდა.
მიხომ ერთი კიდევ ისროლა, რომ ხალხიდან გასულიყო,
მას უნდოდა პატარძალი გაეტაცა, წაეყვანა წასულიყო.
ბიჭებს სურდათ პატარძალი წაერთმიათ,
ასე დამთავრებულიყო,
ცუდი არავის არ უნდოდა,
სისხლი რომ არ დაღვრილიყო.
ამაზე ფიქრობდნენ წადილს კი ვერ ისრულებდნენ,
მიხოც მათ დასცინოდა, ატყობდა რომ შიშობდნენ.
მიხო ძალადობდა, გამეცალეთ წავიყვან ქალსა ჩვენსა,
აკი შეუთვალე, არ გაათხოვოთ, მე კი მოვედი დღესა.

არავის არ უსმენდა ქალი, მაგრად ჰყავდა ჩახუტებული,
არსენას ქვა ხელში ეჭირა, ვერ მიუდგა გამწარებული.
ამ დროს გაჩნდა თეთრი მგელი, შემოვარდა ხალხშია,
მიხოსაკენ გავარდა უცებ, გაჰკრა, გამოჰკრა ყბაშია,
დამბაჩა აართვა, მუშტი რომ დაჰკრა თვალშია.
პატარძალი გამოგლიჯა,
მიხოს პანღური ჰკრა უკანალშია.
მაქსო მაყრიონს მიუბრუნდა, იტყვით ბიჭები ვართო...
ერთმა კაცმა შეგაშინათ, რაღა უნდა თქვათო.
ბოლოს ხელი ჩაიქნია, ქორწილისა მოედნიდან გავიდა,
დიდ-პატარამ მაშინ იცინაო, როცა მაქსო წავიდა.
რევოლუციის მინისტრი გიორგი, ზის სავარძელშია,
ფიქრობდა, ამის შემდეგ ქვეყანას რა დარჩება ხელშია.
ამ დროს კარები იღება, შემოდის მისი მცველია,
გლეხები მოსულან ბატონო, თქვენთან აქვთ სათქმელია.
მინისტრმა მცველს უთხრა, შემოვიდნენ მთხოვნელები,
ილიკო ბაქრაძესთან იყვნენ გომარეთის მცხოვრებლები.
კაბინეტში შემოვიდნენ, მიესალმნენ მინისტრ გიორგისა,
მათ უნდოდათ რომ გაეგოთ მიწის ამბავი სოფლისა.
სოფელმა შენთან გამოგვგზავნა, განცხადება ჩვენიაო,
მცირე მიწები გაგვაჩნია, შენგან პასუხს ელიანო.
გადახედა და უთხრა, უფროსი რომელია თქვენშიო,
ილიკო ბაქრაძე ვარ, ჩვენ ვცხოვრობთ გომარეთშიო.
გიორგიმ უთხრა, კარგია მობრძანდით,
მადლობა ღმერთსაო,
ბიჭები თუ გყავთ გულადები, არ შეუშინდეს მტერსაო.
ჩვენთან ერთია, ხალხს უყვარს, თეთრ მგელსა ეძახიანო,
მისი სახელით ჩვენს მხაერს, უშიშრად მიმოდიანო.
ვერავინ გაუძლებს თეთრ მგელსა, ძლიერი ვაჟკაციაო,
შიშის ზარსა სცემს ყაჩაღებს, მაგარი გულადიაო.
მოუსმინა, მიწის საქმეს გიორგი შეპირდა მოვაგვარებო,

პასუხი ასეთი იყო, ზომებს მივიღებთ დაგეხმარებითო.
თენდებოდა, არემარე გამოფხიზლდა,
ელოდებოდა მზესაო,
წინ მოხუცი მოუძღოდა, ფქვილი ეკიდა ცხენსაო.
როცა ამოივაკა, მოადგა საურმე გზის მოსახვევსა,
ცხენი შეასვენა, თქვა მშვიდობა იყვეს ჩვენსა,
გამარჯობა გაბო, მაქსო ტყიდან გამოვიდა.
რა არის გაბო, ვერ მიცანი, და მისკენ წამოვიდა,
მეც არ მეგონა ვინ არის, გაბოს ჩუმად ჩაეცინა.
მითხარი ჩემო მაქსო, რას შვრები... მაშინვე ჩაეძია,
როგორც მხედავ ისე ვარ, სულ მაწუხებს ფიქრები.
კარგად იქნება ცოლ-შვილი, მაშინ მეც კარგად ვიქნები,
გაბო როგორ არიან ბავშვები, არა უჭირს კარგადა.
არ გაიხაროს შენმა მტერმა, სიცოცხლე ექცეს შხამადა,
კარგი გაბო, სიმონა სად არის, არ ვიცი ჩემო მაქსო,
სად წავიდა ღმერთმა იცის, დიდი ხანია არ ჩანსო.
გაბო სონას გადაეცი, სანოვაგე ამოუტანოს მაქსოსა,
მე ამოგიტან, არა, სონამ მოიტანოს, აქ ვიქნები ახლოსა.
მაქსო ჩვენი ხალხისა გჯერა? როგორ არა, ამისათვის
ზეგ ვაგზავნი ბიჭებს ბორჩალოში ხალხისათვის.
ფრთხილად იყავი მაქსოჯან,
გემუქრებიან ხალხს აჯანყებსო.
სოფელი შენზე ამბობს, ხალხისათვის თავსასდებსო,
ხალხს ერთი ქომაგი ჰყევხარ და ეშინიათ სხვებისა.
ეს ხომ ვიცი ჩემო მაქსო, არ ახარებ მტერსა,
მარტო ის რად ღირს, ხალხი გიცნობს ქომაგსა.
შიმშილობას ხალხი მიგყავდა სამუშაოდ,
ზიდავდი ხორბალსა,
მამასახლისს უსამართლობაზე ხალხის მიმართ,
ხელი ააღებინე,
ისე შეაშინე, კუდით ქვა ასროლინე, ენა ჩააგდებინე,

სანდარაში კახელ მწყემსებს დაეხმარე,
ქურდები გაუხურეო,
ქურდებს ოთხმოცი ცხვარი წაართვი,
მწყემსებს დაუბრუნეო.
კეთილი კაცი პატივს სცემს ძმობასა, ვაჟკაცობასა,
ბოროტი კაცი კი ფიქრობს, მეგობრისადმი მტრობასა,
მაქსო, შენ გინდა მართლა ყველას გული მოუგო,
გსურს ჩვენს ხალხსა ვის რა უჭირს გაუგო.
ეხლა მე წავალ შევასრულებ შენს მიერ დავალებასა,
კარგად იყავი მაქსოჯან, გისურვებ გამარჯვებასა.
გაბო წავიდა რა მოეფარა პატარა ბორცვსა გოლგოთსა,
ამ დროს თეთრ მგელსა, მაქსოსა, გული დაუწყებს ჩოჩქოლსა,
გაახსენდა ათი წლისა იყო აძოვებდა ცხვრებსა,
ხან სიცხე იყო, ხან ყინვა, მიეჩვია განსაცდელსა.
ენატრებოდა თბილი ლოგინი, აუხდენელი დიდი ოცნება,
მთებმა აგრიკალმა,
ემლიქომ შეაძლებინა მას მოთმინება.
სისხლი უდუღდა, გაძლიერდა,
ტომრებს ბურთივით ისროდა,
შეძლებული გვარის ქალი შეუყვარდა,
სულ მასზე ფიქრობდა.
სასიმამრომ დაიწუნა, ღარიბს არ გავატან შვილსო,
მაქსომ ქალი გაიტაცა, გააგებინა რა შეუძლია გმირსო.
ათასობით ხალხის ნაშრომს, ღმერთო,
სადაა სამართალი,
ერთი მუჭა ბატონებსა, მიაქვთ მათი მოსავალი.
ბატონისგან ხალხის ჩაგვრა ყოვლად დაუშვებელია,
მაქსო თოფს მივარდა, ასეთი ცხოვრება შეუძლებელია.
მაქსომ სოფელს გადახედა, ეხ ჩემო გომარეთო,
გამიგებ თუ არა, ჩემო ერთად-ერთო საყვარელო,

სადაც წავიდოდი ჩემი წილი ღმერთი დამყვებოდა,
ჩემთან ერთად შენი დარდი, მუდამ წამყვებოდა.
თუ რამე გავაკეთე, შენი მიზეზით, მთელი სოფლის
ჰალალი იყვეს თქვენთვის, ჩემი სისხლის ჩემი ოფლის,
ღმერთო უშველე ქრისტიან ქვეყანას საქართველოს!
შენი ხელი გადააფარე მრავალ ტანჯულ ქართველობას,
აკმარე ტანჯვა-წამება, სინსილა გაწყდეს მტრისა.
გულკეთილი ხალხი ვართ, არაფერი გვინდა სხვისა,
უცხო ხალხი შეგვიფარებია,
მათთვის მოწყალება გაგვიცია.
ჩვენი სული და გული ამოგვიღია, მათთვის მიგვიცია,
ბევრს სიკეთე სისუსტედ ჩაუთვლია, დაუცინია,
ჩვენი ქონება, მიწაც, ხალხიც, პროდუქტიც გაუტანია.
საწყალი გულისანები ვართ, ვინ გამოასწორებს!
ამ ნაკლსა, ჩვენი შვილები, არამგონია რა გვეშველება.
უცებ მოწმენდილ ცაზე დაიქუხა, ცუდი მაუწყებელია,
არ იცოდა მაქსომ, ახლოს, ჩუმად მოსული მტერია.
მზე ჩადიოდა, ღამდებოდა, თოფების სროლა გაისმა,
წამოწოლილი მაქსო წამოდგა,
ესროლა მომხდურს, წაიქცა.
ტყვია ხოცავდა მომხდურებს, მაქსო ათ კაცსა ებრძოდა.
ჯგუფის ნასროლი ტყვიები, მაქსოსა გულში ხვდებოდა,
უთანასწორო ბრძოლაში, მაქსო ვერ გადარჩებოდა.
მტრის ჯავრი გაჰყვა მაქსოსა,
რომ ღალატითა კვდებოდა.
შეწყდა მაქსოსი ბრძოლა, მტრებმა სიკვდილი გაიგესო,
მის გვამს მისცვივდნენ მაშინვე და ხანჯლით აკუწესო
ხალხმა გაიგო მეორე დღეს
რომ მოუკლავთ თეთრი მგელი.
წყელვა-ტირილით მირბოდა, ჭოჭიანისკენ სოფელი.
სონასაც შეატყობინეს, რომ მოუკლავთ მისი ქმარი,

გამწარებული გარბოდა,
სოფლიდან ტირილით სონა ქალი.
სოფლის ხალხმა შეაგროვა, მაქსოს გვამი გაფანტული,
სონა ქალი რომ მოვიდა, ნახა ქმარი დაკაფული.
თავში იცემს სონა ქალი, ვაიმე ჩემო თეთრო მეგლო,
მე რაღა ვქნა შენს გარეშე, ჩემო ტკბილო, საყვარელო.
ამის შემდეგ აღარ მინდა დავინახო მზე და მთვარე,
დამრჩა სამი ობოლი, ამ ქვეყნად ვერ გავიხარე.
როგორ გაუძლო სიმწარეს, მწუხარებას და ვაებას,
ღმერთო, არ დამენახა, რა უთხრა ჩემსა თვალებსა.
ტირილითა თავს იკლავდა, გამწარებით სონა ქალი,
ჭოჭიანის თავზე გაასვენეს, დაიტირა სონამ ქმარი.
უცბად ხდება ყველაფერი,
ვკარგავთ ჩვენსა საყვარელსა.
წუთიერ ცხოვრებაში უბედოსა,
სიცოცხლით გაუხარელსა.
ასე ყოფილა ამ ქვეყნად, ვერ შეედრები მზესა,
ადამიანი ვერ შეძლებს, მუდმივ ხედავდეს მთვარესა.
ამოწყდეს მისი ცოლ-შვილი, ვინც უღალატა თეთრ მგელსა,
ჩვენ, მეგობრები მაქსოსი, არ შევარჩენთ მაგის მტრებსა,
მაქსოს მეგობრებმა შურისძიება გადაწყვიტეს იმდღიდანა,
მოღალატე მკვლელი შეიპყრეს, სისხლი ადინეს ცხვირიდანა.
იყო სახელი ამ ქვეყნად, გმირ გომართელ ბიჭისა,
ავდექ და ლექსად დავწერე, სიყვარულ დედის ბიძისა,
ეს ნამდვილი ამბავი, დედისგან, ხალხისგან მონათხრობია,
სხვადასხვა რამის წერასა, სიმართლე წერო ჯობია.
ლექსის წერა დავამთავრე, მე გრიშა ჯინჭარაშვილმა,
რომ დაუტოვო შვილებს, იცოდნენ შვილთა-შვილებმა.



მაქსო ცხოვრობდა ვალოდია რაზმაძის სახლის მარცხენა გვერდით ხევია.

მაქსოს და მარო. მისი შვილებია: ექიზაშვილიდოდო, შაშო, ნინო, შაქრო, ელენე.

ანდიაშვილ ჭეჭელას, ბავშვიანი ქალი მოუყვანია,
ბავშვსა რქმევია მოსე, ჯინჭარაშვილი გვარია,
დასახლდა (მიჯაში) ჯავახში, იგი ყოფილა თავია,
შექმნა ძლიერი ოჯახი და გაამრავლა გვარია.
კარგია როდესაც გყავს გაგებული ცოლ-შვილი,
მოსეს ჰყავდა ოთხი ვაჟკაცური ვაჟიშვილი,
გავიხსენებ იოსებს, იაკობს, ესტატეს და აბრამსა,
სიცოცხლე და დღეგრძელობა ჯინჭარაშვილთა ნამრავლსა,
მშრომელ მოსემ შეიძინა, ცხვარი, ძროხა და ფუტკარი,
მეთევზე და მონადირე, ოჯახისთვის კარგი არის.
ამავე დროს ააშენა, მდინარეზე მან წისქვილი,
სოფლისათვის იფქვებოდა სიმინდის და ხორბლის ფქვილი.

| | | |

ულლე

ვარიამი

ატე		აბრამი											
ვანა		ისაკი				გიორგი						სოლომონ	
გიგოლა	ნიკოლა	საბა	იოსები	ლადო	შოთა	კოლა 1941-1945 წ.წ.	არსენ	შალვა	ფილიპი	ნუგზარი		დავითი	პავლე	ალექსანდრე	სერგენ
ვანო ანზორი გიორგი ჯემალი მამუკა		ჟორა	ილუშა ჟორა გრიშა იაშა გოგი სულიკო	როლანდი გოდერძი ვახტანგი	რამაზი		ავთანდილი აბელი	ბიჭიკო მამუკა		გია ანდრო გოდერძი					სულიკო დათო გოგიჩა

სარჩევი

ჩონტენტს

ავტობიოგრაფია 5
ოჯახი 6
ღმერთო მაღალო 7
* * * *(ამქვეყანაზე არსებობს თქმული)* 7
ტკბილი არის ეს ცხოვრება 8
ქართველი კაცი 9
ჯავახეთის მწვერვალებს 9
ქართველო კაცო 11
მეც თქვენთანა ვარ 11
მოვკვდები თქვენს სიყვარულში 12
კურთხეულ მიწას 13
რომ დავფიქრდეთ 14
თხუნელა 14
რად მათქმევინებ 15
მამულს გვართმევდეს! 16
საქართველომ შეგიფარათ 16
ჩლატუნა 17
ბრძოლის ველზე კაცებია 18
თავისუფლება 19
მაშავერა 19
ყაყიტა 20
სამშობლო ვის ყვარებია 21
რა დრო დაგიდგათ 22
შინაბერა 22
მე რომ ვფიქრობ 23
რა ვქნა 24
სოფლიდან გამოიქეცით 24
რამ დაგიბნელათ გონება 25
შენ აფხაზეთო 26
ჩემი სოფელი ჯავახი 26
ტკბილო ქვეყანავ 27

ცოცხალი მკვდარი 28
ღირსეულ ქართველ ქალს 28
მოგინოდებთ მამაკაცებს 29
თუ შეხედავ ადამიანს.....29
ისე არ მოკვდე 30
შენა ხარ კაცი 30
ვინც ამ ქვეყნად.....31
ვინ დაიწყო ომი, სად დაიწყო.....31
არ ვარ სხვასავით დიდი.....32
მიყვარხარ ძლიერ.....33
გამოფხიზლდით ქართველებო.....33
გიყვარდეს შენი ქვეყანა.....34
აყირო.....35
გაიჯეჯილეს.....35
საყვარელ დედას 36
არ უყვარდა მუშაობა 37
მამა არ მყავდა სამწლიდან 38
მშობლებს ეცით პატივი 38
ოჰ გულო ჩემო.....39
შენ ქალი იყავ 40
ჭინჭარი.....40
როგორ მომწონს 41
წინად ქალსა.....41
ლოთი.....42
სილამაზეა.....42
ხალხნო.....43
დარიგებით ყოველ კაცსა.....44
სიყალბეს თავი ანებე 44
წუწკი 45
უბედო და ბედიანი.....46
მოგონებები ომზე.....47
საქართველოს ყავდა გმირი, ხალხი –
მეფენი დავით აღმაშენებელი 48
სამშობლო ჩემო.....49
ადამიანო 50

წარსული 51
თავსატკივარი 51
დაუფიქრდი 52
გაბღენძილი.....53
მგლების ხელში 54
ვერა ხვდები 54
2017 წლის 2 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნები.....55
ცრუ 56
თავქარიანი.....56
სოციალიზმი.....57
ლოთი 58
არ ხარ მართალი.....59
შერეკილი 60
ქვევრები 61
აღიარება.....61
ვაჟკაცურად მოიქეცი.....62
ბრიყვი.....63
ლოთი ქვრივი 63
ღორი.....64
ტყვილების გუდა.....65
მიმარისა ყვავილო.....66
რა სჯობს 67
ჩემი გულის ვარდო 68
მზის თვალო.....73
ობობა და ბუზი 73
წერა 74
კუნტრუშა 75
დაუფიქრებელი 76
საქართველო ჩემო კარგო 77
სარჩევი 102